

1954/3



ბიჭვანი

№ 7
ივლისი
1954



ამას წინათ თბილისის მე-4 მუსიკალურ სკოლას ეწვია საიათნოვას სახელობის ერევნის მუსიკალური სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა ჯგუფი. მეგობრები გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს. კონცერტებს, რომლებიც ქართველ და სომეხ ნორჩ მუსიკოსთა მონაწილეობით გაიმართა — დიდი ინტერესით უსმენდნენ პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები და სტუმრები.

სურათზე: ნორჩი სომეხი მუსიკოსი გალინა მეღჭუმოვა როიალთან.



5857

ბანაკი ტყის პირას

საყვირების ძახილზე
გარიჟრაჟის ციმციმი...
ტყეში ფოთლებს აღვიძებს
ჩვენი ლალი სიცილი.

მზიან ბილიკს მივყვებით
ფრთაშესხმული ფიქრებით;
თვალს იფშვნეტენ არყები,
იციანი იფნები.

რა ხანია გველოდნენ
გვირილების გუნდები,
ფარფატებენ მდლოლზე
ჩვენი თეთრი ქუდები.

ცვარდაყრილი მინდორი
ქვეშ შრიალით გვეგება,
გვიხმობს ჩვენი მედლოე
და იხსნება შეკრება...

ვერ იტვევენ კარგები
ზღვა სიხარულს მოწოლილს,
და საუბრობს ალვებთან
ჩვენი ღიდი კოცონი.

ცის ელვარე საკინძე,
ვარსკვლავების ციმციმი...
და ტყეს ისევ აღვიძებს
პიონერთა სიცილი.



სუკოროველები *

ნახ. ალ. ბანძელაძისა

თ ა ვ ი III

სამყობრო ღათვალმირებაზე



ორმა დღემ განვლო. არც მე გადავეცი ლეიტენანტს გენერლის ბრძანება და არც ლეიტენანტს უთქვამს ჩემთვის რაიმე. მიხაროდა, მეგონა, რომ ასე კეთილად ჩაიარა ამ საქმემ. მხოლოდ ის მაფიქრებდა, სმირნოვმა ხომ არ გაიგონა, როგორ მოვატყუე გენერალი. გაგონილი რომ ჰქონდეს, მაშინ კი დავიღუპე. სმირნოვი ამ მხრივ სანდო არ არის. პირდაპირია, არავის დაერიდება, ადგება და ლეიტენანტს სახალხოდ მოახსენებს: პაიჯაქემ ასეთი რამ ჩაიდინაო, ან არა და კედლის გაზეთში გაგწერს, თანაც ისეთ კარიკატურას დაურთავს, სამუდამოდ თავს მოგჭრის. ერთხელ დრო ვიხელთე და სმირნოვს გამოველაპარაკე. გახსოვს, რას შემეკითხა გენერალი-მეთქი? — არაო, მიპასუხა.

— ჰო, მართლა, — თითქოს რაღაც გაახსენდაო, მკითხა მან, — გენერალი რაზე გელაპარაკებოდა?

— არაფერზე, მკითხა, ვინ არის თქვენი ათეულის მეთაურიო.

ამის შემდეგ დავიწყებას მივეცი ეს ამბავი, მაგრამ მაინც ვფრთხილობდი. გენერალს სათაფრზე არ ვეკარებოდი. ჩემკენ მომავალი რომ დამენახა, უმად გზიდან გადავუხვევდი, ან უკან მივტრიალდებოდი და სადმე კუნჭულში მივიმალებოდი. კიდევ კარგი, რომ ქალაქში გასვლა აკრძალული მაქვს. ლეიტენანტმა კიდევაც რომ გამიშვას, ქალაქში არ წავალ. საშიშია, გენერალი კიდევ სადმე არ შემეყაროს!

ხუთშაბათობით, საცხოვრებელი ბინების წინ, პატარა მოედანზე, რომელსაც გარშემო დიდი ალვისხეები არტყია, სკოლის სამწყობრო დათვალიერება ეწყობა ხოლმე. დიდის სრულ 7 საათზე, როცა გაისმის კრემლის კურანტების რეკვა, სუვოროველთა ათეულები ჩამწყობრებულნი დგანან მოედანზე. სკოლის უფროსის მოადგილე, რომელ-

საც ბოხი და რიხიანი ხმა აქვს, გასცემს ბრძანებას: „სმენა! სწორება მარჯვნივსაქენ!“ — სირბილით გაემართება მოედანზე მომავალი გენერლისაქენ და მოახსენებს:

— ამხანაგო გენერალო, სკოლა მზადაა სამწყობრო დათვალიერებისათვის.

გენერალი მწყობრი ნაბიჯით და მალა აღმართული ხელით ათეულებს წინ ჩაუვლის, შუა ალაგას შეჩერდება და მოგვესალმება:

— გამარჯობათ, სუვოროველებო!

— ჯენმრთელობას გისურვებთ, ამხანაგო გენერალო! — გაისმის სუვოროველთა მკექქარე შეძახილი.

ამის შემდეგ გენერალი აღის ტრიბუნაზე.

ზღვის ტალღასაეით გადაირბენს ათეულების თავზე ბრძანებები — „სმენა!“ „სწორება, მარჯვნივსაქენ!“ ახმაურდება ტრიბუნის გვერდით სასულე ორკესტრი და სუვოროველთა ათეულები იწყებენ საზეიმო სვლას.

იციო, რა ლამაზი და მიმზიდველია ყოველივე ეს? ამას წინათ საგუშაგოზე ვიდექ და შორიდან ვუცქეროდი სამწყობრო დათვალიერებას.

ორკესტრი საზეიმო მარშს უკრავს, სწორედ იმ მარშს, რომელსაც წითელ მოედანზე ჯარების მიღების დროს უკრავენ. სულ წინ მზის სხივებში გახვეული დროშა მიაქვთ. დროშა, რომლის ზემო კუთხეში ოქროსფერად ბრწყინავენ ყველა ჩვენგანისათვის უსაყვარლესი ადამიანების — ლენინისა და სტალინის სახეები. საბრძოლო დროშას აქეთ-იქით უდგანან ავტომატმომარჯველები ასისტენტები. დროშას მისდევს ოფიცერ-აღმზრდელთა ჯგუფი. მათ განიერ მკერდებზე თვალისმომკრულად ბრწყინავს საბრძოლო ორდენები და მედლები. შემდეგ მიაბიჯებენ სუვოროველთა ათეულები, რომელთაც წინ მიუძღვიან ათეულის მეთაურები. ტრიბუნასთან მიახლოვებისას ათეულის მეთაურები გასცემენ ბრძანებას — „ათეულო, სმენა, სწო-

* ვაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერი“ № 6.

რება მარჯვნივ! ან ამ ბრძანებისთანავე ათეულის მე-
თათური მალლა აწეულ ხმაღს წვერით ძირს და-
იშვერს, სუვოროველები კი თავებს ერთდროულად
მარჯვნივ შეატრიალებენ, ხელების მოძრაობას
სწყვეტენ და სახეიმი ნაბიჯით განაგრძობენ სვლას.

ეს — როცა შორიდან გუხუტრებ ამ სურათს!
მაგრამ, როცა მწყრივში ვდგავარ, მაშინ სულ
სხვა რამეს განვიცდი. დაახლოებით მარტინ იდენ-
ის მღვდამარეობაში ვვარდები.

რუფის ოჯახში შესვლისთანავე მარტინ იდენის
ყურადღება მიბრუნო კედელზე დაკიდულმა სურათ-
თმა — შავი ღრუბული გადაურბოდა ალელუებულ
ზღვას. აკოვრებული ტალღები გრიალით იმსხვრე-
ოდა სალ კლდეზე. ტალღების ქორორზე მიჰქროდა
ლოცმანის ნავი, რომელიც იმდენად იყო აყირავე-
ბული, რომ მთელი ბანი მოჩანდა. მხოლოდ ეს ნა-
ვი გამოკრთოდა ჩამავალი მზის შუქით მოქარგულ,
მღელვარე ზღვაზე. ამ სურათში იყო ერთი გამოუთ-
ქმელი სილამაზე. მარტინ იდენი ახლოს, სულ
ახლოს მივიდა სურათთან — სილამაზე გაჰქრა. მარ-
ტინ იდენი გაშტერებულ შეაჩერდა სურათს,
რაც მას უღაზათო ნაჯღაბნად მოეჩვენა. მაგრამ
როგორც კი სურათს მოშორდა, — სილამაზე კვლავ
დაუბრუნდა მას.

მეც ასე შემართება. შორიდან ვუტყვი მწყობ-
რად მიმავალ ათეულებს და თვალი ვერ ძლება.
ჩავდებო მწყრივში — და წელი მწყდება, სულ იმას
ვეჩქობ, როდის გასცენენ ბრძანებას, დაიშალე-
თო. იქნებ, ეს იმიტომ, რომ გენერალს ვერიდები,
მეშინია ჩემი დანაშაული არ გამოაშკარავდეს. ან,
იქნებ, იმიტომაც, რომ არ მიყვარს სამწყობრო

მზადება. სულ იმის ცდაში ვარ, სამწყობრო მზა-
დებას როგორმე თავი ავარიდო. მწყობროში ერთ
საათს სიარულს ის მირჩვენია, სასადილოში დამ-
სვან და მთელი დღე კარტოფილი მაფტკენივინონ.

დღეს დილით, როცა ჩვენი ათეული ტრიბუნას
გაუსწორდა, მიუხედავად იმისა, რომ სასულე ორ-
კესტრი მთელი ხმით უკრავდა, გარკვევით გავი-
გონე, გენერლის ხმა:

— სუვოროველო თვალკრელიძე, ფეხი უფრო
ზევით ასწიე, თავი მალლა აიღე!

უცბად მეგონა ეს მე კი არა, სხვა ვილაცას
ეხებოდა, მაგრამ უმალ ყველაფერი გამახსენდა.
ეჰ, ისა სჯობდა, რომ არაფერი გამახსენებოდა, კი-
ნაღამ გული შემეღონდა, თითქოს მეკრღვი რა-
ლაც ჩამწყდა, ფეხები ამიკანკალდა და სუნთქვა
შემეკრა. ეს, ალბათ, ერთ წამს გაგრძელდა. უმალ
მოვისაზრე, რომ საჭიროა თავის ისე დაქვრა, ვი-
თომ გენერალმა მე კი არა, ვილაც სხვას მიმართა.
რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიჭიბე, ფეხის
ტერცთი მაგრად დავცხე და თავი მალლა ავწიე.

— რატომ იბღვირები, — განაგრძობდა გენე-
რალი, — თვალები რატომ არ გიციინის ..

ვერავინ გაიგო, თუ ვის მიმართა გენერალმა.
ყველას ეგონა, რომ გვარი შეეშალა. ალბათ,
ამასვე ფიქრობდა ჩვენი ათეულის მეთაური, რო
მელმაც სამწყობრო დათვალეირების შემდეგ იკით-
ხა, თუ გენერალმა ვის დაუძახა შეცდომით —
სუვოროველო თვალკრელიძეო. ხმას არავინ იღე-
ბდა. ან ვინ იტყოდა, მე მომმართათო, როცა ასე-
თი გვარისა ჩვენს ათეულში არავინ იყო.

თავი IV

ტაქტიკურ მიცადინეობაზე

ტაქტიკური მიცადინეობა გვქონდა. დილით
უთენია გავედით მიწდორში.

ჩვენი მივლითი ვიწრო ბილიკით, რომლის
ორივე მხარეს ვკვირილათი და სისინით დაფარუ-
ლი ზოლი გასდევდა.

სულ წინ ლეიტენანტი მიბაიჯებდა. ჩვენ მას
უკან მივდევდით ორ-ორად ჩამწყრივებულნი. მივ-
დიოდით და მივიმღვროდით.

ტყის პირას, პატარა ბექობთან, ლეიტენანტმა
შესვენება გამოაცხადა. უმალ წამოვგვორდით მდე-
ლოზე. სახსრებმა შევბა იკრძნეს.

ათიოდე წუთის შემდეგ ლეიტენანტმა კვლავ
დაგვანწყრივა და მოგვმართა:

— სუვოროველებო, გუშინ გაკვეთილზე ხომ
ყველამ გაიგო რა არის აზიმუტი?

— გავიგეთ, გავიგეთ! — მიუგეს სუვოროვე-
ლებმა ერთხმად.

— შენ რატომ არაფერს ამბობ, სუვოროველო
პაიჭაძე. იცი თუ არა რა არის აზიმუტი? — შემე-
კითხა ლეიტენანტი.

— ვიცი, ამხანაგო ლეიტენანტო, — მიუხედავ
თემცა გარკვევით არ ვიცოდი რა იყო აზიმუტი,
რადგან გაკვეთილზე ცხენის ხატვით ვიყავი გარ-
თული და ყურს არ ვუვლდებდი. ტრაბახად კი არ
ჩამომართავთ, არითმეტეკას პირველ კლასიდანვე
კარგად ვსწავლობდი და ამ საჯანში საკმაოდ
ძლიერი ვარ. სწორედ ამიტომ მქონდა ჩემი თავის
იმედი. მეგონა თავისუფალ დროს წიგნში წავი-
კითხავდი და იქიდანაც კარგად გავიგებდი რა
იყო აზიმუტი. მაგრამ ისე მოხდა, რომ გუშინ

წიგნის წაკითხვა დამავიწყდა, დღეს დილით კი ვერ მოვასწარი.

— სუფოროველებო, — მოგემართა ლეიტენანტმა, — ერთხელ კიდევ გიმეორებთ, აზიშუტი ეს კუთხეა ჩრდილოეთისა და საგნის მიმართულებით, ის იზომება მარცხნიდან მარჯვნივ, ისე, როგორც საათის ისარი ბრუნავს. გასაგებია?

— გასაგებია, — მიუხედავად სუფოროველებმა.

— გასაგებია, — გავიმეორე მეც, — თუმცა ჩემთვის არც ახლა იყო გასაგები. კარგი ბიჭი ხარ და ერთი თქმით ვაიგე, რა არის აზიშუტი.

— რახან გასაგებია, მას გამოიანგარიშეთ აზიშუტი, აგერ, აი, იმ ტრიგონომეტრიულ წერტილამდე, — თქვა ლეიტენანტმა და ხელი გაიშვირა შუა ტყეში აღმართულ ტრიგონომეტრიულ წერტილისაკენ.

ყველამ დიწყო აზიშუტის გაზომვა. მეც ვატრიალებდი კომპასს ხელში, თან ცალი თვლი სმირნოვისაკენ მექირა. მინდოდა ვამეგო, როგორ ზომავდა იგი აზიშუტს. ვერაფერი ვაევიგე. ვატრიალე, ვატრიალე კომპასი ხელში, ბოლოს უდარდელი შეხედულემა მივიღე. რომ შემოეხედა ვინმეს, იტყოდა, ამოცანა უკვე შეუსრულებია და იმიტომ უქირავს თავი ამაყად.

ლეიტენანტი ჯერ სმირნოვს შეეკითხა, რამდენი გრადუსი იყო ტრიგონომეტრიულ წერტილამდე.

— ოცდახუთი გრადუსია, ამხანაგო ლეიტენანტო, — თქვა მან თამამად.

კიდევ რამდენიმე სუფოროველს შეეკითხა. ყველამ ერთიდაიგივე უპასუხა — ოცდახუთი გრადუსიაო. მეც შემიკითხა ოცდახუთი გრადუსია-მეთქი, — მიუხედავად მეც.

— წინა მეცადინეობაზე, — მოგემართა ლეიტენანტმა, — ჩვენ ვისწავლეთ, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ ტყეში, ან ღამით სიარულის დროს კომპასის ვიზირის მილით. ახლა ერთ თქვენგანს დავინიშნავ ჯგუფის წინამძღოლად და მივცემ ორიენტირს. იგი კომპასის დახმარებით ჯგუფს მიიყვანს დანიშნულ ორიენტირამდე.

ლეიტენანტმა ეს რომ თქვა, გული კინაღამ საგულედან ამომივარდა. ნამდვილად მე დანიშნავს ჯგუფის წინამძღოლად-მეთქი, გავიფიქრე. და მართლაც, ხეირიანად ვერც კი მოვასწარი გონებაში ამ ფიქრის დასრულება, რომ ლეიტენანტი ჩემსკენ შემოტრიალდა და შემიკითხა:

— სუფოროველო პაიჭაძე, ხედავ თუ არა ტყის პირას მალად არყისხე?

როგორ არ ვხედავდი. არყისხე ისეთი თეთრი

იყო, რომ გარშემო მდგარ ხეებისაგან ძალიან გამოირჩეოდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ვხედავ! მიუხედავად მცირე დაფიქრების შემდეგ.

ახლათ, მიხვდით, რომ უტყბად რაღაც გამოხარდა? იცით რა გამეხარდა? არყისხე ტრიგონომეტრიული წერტილის შორიანლო იდგა. ვიცოდი, რომ ტრიგონომეტრიულ წერტილამდე აზიშუტი 25° იყო. თქმა არ უნდა, თუ როგორმე მივალწედი ტრიგონომეტრიულ წერტილამდე, არყისხე იქვე იყო და მისი პოვნა არ განიმძნელებოდა.

— სუფოროველო პაიჭაძე, ვინიშნავ ჯგუფის წინამძღოლად. ისარგებლე კომპასით და ჯგუფი მიიყვანე არყისხესთან.

— არის! — მიუხედავად მე და უმალ მიგმართე სუფოროველებს:

— ჯგუფო, უსმინე ჩემს ბრძანებას!

ვიზირის მილი 25°-ზე დავაყენე. ჯგუფო მოწყვიტე-მეთქი, გავეცი ბრძანება და გზას ვაუღლებდი. ისე თამამად და გაბედულად მივაბიჯებდი, ყველას სჯეროდა, რომ კარგად ვიცოდი კომპასის გამოყენება.

ცოტა ვიარეთ თუ ბევრი, ტრიგონომეტრიულ წერტილს მივადექით. თავისუფლად ამოვივსუნებდი, სიხარულისაგან კინაღამ სიმღერა წამოვიწყებ. ახლა კი აღარ ვამეორებდა არყისხის პოვნა-მეთქი, დავინმედე თავი და მარჯვნივ გავუხვიე. ჩემი ვარაუდით ასი — ასორმოცდაათი ნაბიჯით უნდა ყოფილიყო აქედან არყისხე დაცილებული. ამადენი მანძილი რომ გავიარე, შევჩერდი და აქეთ-იქით დავიწყებ ცქერა. ირგვლე ნაძვები იდგა, არყისხე კი არცაა ჩანდა. ცოტა მანძილი კიდევ გავიარე, მაგრამ არყისხეს მაინც ვერ მივაგენი.

მიცქირა, მიცქირა ლეიტენანტმა და, როცა დარწმუნდა, რომ არ ვიცოდი კომპასით სარგებლობა, ხელი ჩაიქნია.

— სუფოროველო პაიჭაძე, ტყუილუბრალოდ დროს მე გვაკარგვინებ. არ იცი აზიშუტით სარგებლობა.

— ცოტაც დამაცადეთ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— მე კი გაცდი, მაგრამ ბრძოლაში მტერი არ დავაცდის. ვთქვათ, მტერი უკან იხევს; ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად დავეწვიოთ გაქცეულ მტერს და გავანადგუროთ იგი. როგორ ფიქრობ, თუ კი ასე გზააბნეული ვივლით, შევძლებთ საბრძოლო ამოცანის შესრულებას?

მე მაინც არ მინდოდა ფარ-ხმალის დაყრა. ერთთავად კომპასს დავცქეროდი.

რომელიღაც სუფოროველმა ხმამაღლა ჩაახველა. მეორემ რაღაც ჩილიაპარაკა. გარკვევით გავი-



ისე თამამად და გაბედულად მივახიჯებდი, ყველას სჯეროდა, რომ კარგად ვიცოდი კომპასის გამოყენება.

გონე მისი ხმა, მაგრამ ყურები, თუმცა ამას რას ვამბობ, მარტო ყურები კი არა, მიელი სხეული, ისე მიხურდა, რომ ვერ გავიგე მისი სიტყვების მნიშვნელობა.

რამდენიმე სუფოროველს სიცილი წასკდა. გასაგები იყო რომ ჩემს უცოდინარობაზე იცი-ნოდნენ. გაბრაზებული. ისევ წინ წავედი, მერე ისევ უკან გამოვბრუნდი. ბევრი ვიარე, ამხანაგებიც ვატარე, მაგრამ არყისხე ვერა და ვერ ვიპოვე: არყისხეს ვინ ჩივის, ტრიგონომეტრიული წერტილიც დავკარგე.

— სუფოროველო ბაიჭაძე, საკმარისია! არ იცი რა არის აზიმუტი! — მომმართა მოთმინებადაკარგულმა ლეიტენანტმა.

— როგორ არ ვიცი, ამხანაგო ლეიტენანტო. კი არ გეგონოთ, რომ თავის გამართლება მინდოდეს. ამ სატალო კომპასსა მიმტყუნა.

— ხდებო ხოლმე, — ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა. — შენ ეს თქვი, ახლა ხომ გაიგე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლაში აზიმუტს?

— გავიგე, როგორ არა.

ამხანაგებთანაც იმით გავიმართლე თავი, ვითომდა კომპასსა მიმტყუნა.

თქმით არავეინ არაფერი მეუბნებოდა, თუმცა ღიპილზე ეტყობოდათ, რომ ჩემი ნათქვამი სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ.

მეორე დღეს ლაშქრობა გვქონდა. ლეიტენანტი

წინ მიგვიძლოდა და ჩვენ მას ორ რიგად ჩამწკრივებული მივდევდით უკან. ერთ ალაგას ჭაობს წავადექით. ჭაობს გარშემო ვიწრო ბილიკი უვლიდა.

ყველას გვეგონა, რომ ჭაობს ბილიკით გარს შემოვუფელიდით, მაგრამ არ გამართლდა ჩვენი იმედი. ლეიტენანტმა პირდაპირ ჭაობში შეტოპა და ჩვენც გვიბრძანა უკან მივეყოლოდით. ბიჭი ხარ და ნუ შეასრულებ ლეიტენანტის ბრძანებას. თითქოს წინ იხედება, მაგრამ ისეთი ფხიზელი თვალი აქვს, რომ ზურგსუკან დაუნახავი არაფერი რჩება. წელამდე ჭაობში ვეფლობოდით, გვიჭირდა სიარული, მაგრამ ლეიტენანტი აინუნში არ ავდებდა ამას. პირიქით, უფრო სწრაფად მიდიოდა წინ, თან უკან მოუხედავად ერთსადაიმევეს გაიძახოდა:

— ნაბიჯს მოუმატეთ, არავეინ ჩამორჩენ!

რის ვიავგალებით გავედით ნაპირზე. გვეგონა, გვეშველა და ეს არისო, მაგრამ ლეიტენანტმა ნაპირზე გასვლისთანავე გასცა ბრძანება, „სირბილითო!“ და შეჯიბრზე გასულ მორბენალივით უცბად მოსწყდა ადგოლს.

მივრბოდი, მაგრამ ვაი ამ სირბილს! ჩექმები წელთ მქონდა სავსე, ტანისამოსი სველი, სახსრები — მოღლილ-მოქანცული.

დიდხანს ვიარეთ ტყეში და ღრეში, ჭაობებში; ორი ბატარა მდინარეც გადავლახეთ და ბოლოს კლდეზე ფოფხვით ავედით მაღალ მწვერვალზე.

ველარ მოვითმინე და შესვენებაზე ლეიტენანტს შევეკითხე:

— ამხანაგო ლეიტენანტო, განა არ სჯობდა ჰაობთან ბილიკით წაესულიყავით? მეორე ნაპირზე სწრაფადაც გადავიდოდით, არც დაესველდებოდით და არც ასე დავიღლებოდით.

— თქმა არ უნდა, — მომიგო ლეიტენანტმა.

— მაშ, ჰაობში ტყუილუბრალოდ რაღას ამო-

ვიგანგლეო? — წამოიძახა რომელიღაც სუვოროველმა.

— სანამ მე გაგცემდეთ პასუხს, ^{გმადლობა} ჯერ თქვენ მიპასუხეთ, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები: „ძნელია სწავლისას, ადვილია — ბრძოლისასო?“

— ვის და სუვოროვს, — წამოიძახა ერთდროულად რამდენიმე სუვოროველმა.

— ჰოდა, აი, ესეც სიმძნელე სწავლისას...

თავი V

სმირნოვმა სიმაართლე თქვა

სადამოს დათვალეირებაზე ლეიტენანტი ერთ-თავად მწკრივის წინ დადიოდა (ასე იცის როცა აღელვებულია). ეტყობოდა, რაღაც ჰქონდა სათქმელი და ელოდა, როდის დამთავრდებოდა დათვალეირება.

სუვოროველები თვალ-წარბში შესცქეროდნენ ლეიტენანტს, მე კი თვალს ვარიდებდი, ხან აქეთ ვიციკირებოდი, ხან იქით. როცა მორიგე ოფიცერმა ბრძანება გასცა, დაიშალეთო, ლეიტენანტმა ბრძანა:

— ათეულო, არ დაიშალო!

სხვა კლასელი სუვოროველები რომ წავიდნენ, ლეიტენანტმა მოგვმართა:

— სუვოროველებო, დღეს გენერალმა ოფიცერთა შეკრებაზე მითხრა, რომ მან ამ დილით სამწყობრო დათვალეირებაზე შენიშვნა მისცა სუვოროველ თვალტრედიქს, რომელიც წინა კვირას ქალაქში შეგხდა გენერალს და მისალმებისას პიონერივით მაღლა აღმართა ხელი, თანაც უკან შებრუნებისას მარცხნივ კი არა, მარჯვენა მხარეს შეტრიალდა. ვინ იყო ეს სუვოროველი, გამოვიდგეს და თქვას.

წინ არაფერს ვასულა. თუმცა ამას რას ვამბობ, ჩემს გარდა სხვა ვინ გავიღოდა. მე კი არ გავდიოდი, როდგან რაღაც უცნობმა გრძნობამ მოიცვა მთელი ჩემი არსება. ვიდექი გაკვირული, და ვაშტერებული ვუცქეროდი ჩემ წინ მდგომი სმირნოვის კისერს. სმირნოვი მოუსვენრად იდგა, მთელი ყურადღება ჩემკენ ჰქონდა მოქცეული, ეტყობოდა, იმის მოლოდინში იყო, რომ მხარზე ხელს დავკრავდი. ასეთ შემთხვევაში ჩემთვის მწკრივიდან გასასვლელად გზა უნდა დავიშო.

— მაშ, დამნაშავეს არ უნდა გამოტყდეს! — თქვა ლეიტენანტმა. ერთხელ კიდევ გადახედა ათეულს და თვალი ჩემზე შეაჩერა.

— ერთმა თქვევანმა, — მოგვმართა ლეიტე-

ნანტმა, — ჩაიდინა სუვოროველისათვის ეს უღირსი საქციელი. თქმა არ უნდა, ეს დიდი დანაშაულია. მაგრამ ამაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ ამის ჩამდგენს არ ჰყოფნის იმდენი გამბედაობა, გამოვიდგეს და მწკრივის წინ აღიაროს თავისი შეცდომა. ეს არის ნამდვილი სიმბდალე. სუვოროველი კი მხდალი და ლაჩარი არ შეიძლება იყოს. იქნებ რომელიმე თქვევანმა იცის, ვინ მოატყუა გენერალი?

ოცეული დუმდა. სუვოროველები აქეთ-იქით იციკირებოდნენ, ყველას უნდოდა გაეგო, თუ რომელმა ჩაიდინა ეს.

— ნება მომეცით, მოგახსენოთ! — თქვა ხელის აწევით სმირნოვმა.

— მომახსენე.

— ამხანაგო ლეიტენანტო, წინა კვირას მე და სუვოროველ პაიჭაძეს ქალაქში შეგხვდა გენერალი. ორივენი მივესალმეთ. გენერალმა პაიჭაძეს გაამეორებინა მისალმება. შემობრუნებითაც პაიჭაძე არასწორად შემობრუნდა, ამიტომ გენერალმა შემობრუნებაც გაამეორებინა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უთხრა გენერალს სხვა გვარი, ამის შესახებ არაფერი ვიცი. მათგან კარგა მანძილით ვიყავ დაშორებული და ვერ გავიგონე, რა უთხრა გენერალმა პაიჭაძეს, ან მან რა უპასუხა გენერალს. აი, აქ დგას სუვოროველი პაიჭაძე, გამოვიდგეს და თქვას, სიმაართლეს ვლამაზაკობ თუ არა.

განა რამის თქმა შემეძლო? ვიდექი თავჩაღუნული, მუხლისთავეები ისე ძალიან მიკანკალებდა, მეგონა, ძალა არ მეყოფოდა და ჩავიჩოქებდი. ვგრძნობდი, რომ ყველა მე მიცქეროდა. ლეიტენანტიც თვალს არ მცილებდა. მიჩვენებოდა, რომ ის ძალიან იყო გაზრუნებული და საცაა ყვირილს დაიწყებდა. მეტყოდა, რომ მე ვარ მატყუარა, გამოუსწორებელი ცრუბენტელა, რომ ღირსი არ ვარ ვიყო სუვოროველი, რომ ჩემგან ოფიცერი

არ გამოვა. იმ წუთს მიწა რომ გახეთქილიყო და შიგ ჩავეტანე, ის მერჩია.

— სუვოროველი პაიჭაძე, მართლს ამბობს თუ არა სმირნოვი? — შემიკითხა ლეიტენანტი ხმადაბლა. რაღა არ ვიგრძენი მის ხმაში: შეცოდებაც, გამხსნევებაც. ასე ელაპარაკებოდა ხოლმე განსაცდელში ჩავარდნილ მეგობარს. რატომღაც იმე-

დი მომეცა და გაემხნევიდი, თუმცა ლეიტენანტის ნათქვამში საიმედო და გასამხსნევებელი არაფერი იყო.

სულ ოდნავ ავწიე თავი მაღლა, თვალები კი იატაკს ვერ შოვავდილ და კი არ ვთქვი, ყრულ წავიბურტუყენე:

— ამხანაგო ლეიტენანტო, სმირნოვი მართლს ლაპარაკობს.

თავი VI

ვ ჯ ა რ ო ს თ ა ნ

კედლის გაზეთის ახალ ნომერში გამოქვიმვის. შიგ ჩემი კარიკატურაა ჩახატული. ვდგავარ თვალმბოჭუტული, ერთი მტკაველი ცხვირი მაქვს (ვერ მივართვი, მე სულაც არ მაქვს ასეთი გრძელი ცხვირი და დაჭყეტილი თვალები), თმები ღორის ჯაგარივით ამბურძგნია, წინ გაშვებულ ხელებს დავეტყერი და ჩემს თავს ვეკითხები: „ნეტავი გამაგებინა, რომელია მარცხენა და რომელია მარჯვენა?“

კედლის გაზეთში ჩემს შესახებ რომ წავიკითხე, მთელს სხეულზე სიმწრის ოფლმა დამასხა, სისხლი მომაწვა თავში. მივავი ჯგბდი სკოლის ეზოში და თავს მაღლა არ ვიღებდი. ან როგორ ვიღებდი, როცა თავში მძიმე ფიქრები მიტრიალებდა.

ვინ იცის, როდემდე ეკიდება გაზეთის ეს ნომერი? მართალია, იგი ყოველკვირეული ორგანოა, მაგრამ ხანდახან თვეში ერთხელაც არ გამოდის.

წინა ნომერი არ იყო, რომ თითქმის მთელი თვე ეკიდა კედელზე!

კედლის გაზეთში გამოქვიმვას ვინ ჩივის! ალბათ, შეკრებებზე და სახეიმა სხდომებზე სულ ჩემზე ილაპარაკებენ. მართლაც, ეს რა ჩავიდინე! ვაი თუ გენერალმა დამიბაროს და მკითხოს, რატომ მომეტყუეო, რა პასუხი გავცე, თავი რით ვიმართლო? ალბათ, ლეიტენანტი შიკრიკობიდანაც გამომცვლის და სხვა ვინმეს აიყვანს. აი, თუგინდ ვასია სმირნოვს. სკოლიდან არ გამრიცხონ, თორემ ამას ვინ ჩივის!

ამ ფიქრებიდან სკოლის მორიგემ გამომიყვანა.

— სუვოროველი პაიჭაძე, — ყვიროდა საცხოვრებელი ბინის აივანზე გადმოდგარი მორიგე, — გამოცხადდეს სკოლის მორიგესთან.

კეტი რომ დაგერტყათ თავში, ალბათ, ისე არ მეტკინებოდა, როგორც ამ სიტყვებმა მატკინეს გული. ვიღქვი ერთ ადგილზე და არ ვიცოდი რა მექნა.

— რა ქანდაკებასავით ერთ ადგილზე გაჩერებულხარ. არ გესმის, გეძახიან! — მხარზე ხელის წაკვრით მეუბნება სმირნოვი.

გარკვევით გავიგონე მორიგის სიტყვები, მაგრამ მაინც სმირნოვს შეეკითხე:

— რაო, რაო, ვინ მიბარებს?


— ვინ და სკოლის მორიგე.

— ესე იგი, სკოლის კანცელარიაში უნდა მივიდე, არა?

— დიახ, სკოლის კანცელარიაში.

— ერიპა, — მივუგე აკანკალებული ხმით, — კანცელარიაში მისულა მიმწვლდება, მეშინია, გენერალმა არ დამინახოს. ვინ იცის, იქნებ გენერალთანაც ვარ დაბარებული.

— სუვოროველი და შიში! გენერალმა კიდევაც რომ დაგიძახოს, მერე რა. როცა იქნება, ხომ განახვს. იცი, რას გირჩევ, გენერალთან მიდი და ბოლიში მოიხადე, უთხარი შეგცდი და მეტს აღარ ჩავიდენ-თქო.



კედლის გაზეთის ახალ ნომერში გამოქვიმვის.

ქკუაში დამიჯდა სმირნოვის ნათქვამი. ნელი ნაბიჯით გაემართე კანცელარიისაკენ. მივიღიოდი სმირნოვისაგან გამხნევებული, მაგრამ ფეხები მაინც უკან მრჩებოდა. ერთთავად იმას ვფიქრობდი, რა პასუხი გამეცა გენერლისათვის, რითი გამემართლებინა თავი. ყველაზე მეტად იმისი მეშინოდა, რომ გენერალს სკოლიდან არ გავერიცხებოლოდ ახლა ვიგრძენი, თუ როგორ ვიყავი სკოლასა და ამხანაგებს შერყეული. იმის გაფიქრებაც კი გულს მიღონებდა, რომ ასე უტებათ სკოლასაც და ამხანაგებსაც უნდა გამოეთხოვებოდი. გული ამიჩუყდა. კინადამ ცრემლები წამომცვივდა.

ფეხაკრფებით ავედი კიბეზე და კარებთან შევჩერდი. მორიგე ოფიცერი მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— ამხანაგო სკოლის მორიგეც, სუვოროველი პაიჭაძე თქვენი ბრძანების თანახმად გამოცხადდა.

— სუვოროველი პაიჭაძე, თუ სუვოროველი თვალჭრელიძე? — გაიცინა სკოლის მორიგემ. პაკეტი გამომიწორდა და დაუშტა:



სანამ ლეიტენანტი პაკეტს წაიკითხავდა, ბიჭს გამოველაპარაკე.

— ეს პაკეტი ახალავე ლეიტენანტს წაუღებინა და გადაეცა.

თავიფულად ამოვიხუნთქე. არის-მეთქი, მიუფეგე მორიგეს და ჩიკორივით ერთ ადგილზე შემოვტრიალდი.

კვირა დღე იყო. ზღვის სანაპიროზე, ქუჩებში, პარკებსა და სკვერებში ხალხის ტევა არ იყო. ახლადკვირტამოღებულნი მცენარეებისა და ნარგავების სუნი ტრიალებდა ჰაერში. გახაფხულთან ერთად ზეიმობდა ქალაქის ქუჩებში გამოსული ხალხიც. ვინ სანაპიროზე დასეირნობდა, ვინ ნაიფ ზღვაზე დაცურავდა, ფანჯარაგამოღებულ საცხოვრებელ ბინებიდან ისმოდა მუსიკის დამატკობელი ჰანგები, პარკებსა და სკვერებში ჯგუფად მოსეირნე გოგო-ბიჭების ხმაშეწყობილი სიმღერები მთელ ქალაქს ეფინებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მე ვზეიმობდი. როგორ არ მეზეიმა, მეგონა ლეიტენანტი თავისი მეკავშირობიდან გამათავისუფლებდა, სკოლიდან გაირიცხვასაც კი ვშიშობდი. მაგრამ უყურე, არ გამართლდა ჩემი ეჭვები. სკოლაში მე ისევ საქირო ვარ, მაძღვენი დავალებებს. აი, ახლა თვით გენერლის პაკეტი მიჭირავს ხელში და ლეიტენანტთან მიმაქვს.

მსუბუქად, ლალად მივაბიჯებ. არა, კი არ მივაბიჯებ, მეჩვენება, თითქოს მერცხალივით მივფრინავ, ვამჯობინე ქალაქის ბაღში გავლით გზა მომეჭრა. ასეც მოვიქეცი. ჩვეულებისამებრ, ბალი ხალხით არის სავესე. აქა-იქ ქალაქში გაშვებული სუვოროველებიც დასეირნობენ. ბაღის ბოლოში, განაპირა სკამზე, ვხედავ, ჩემი „ნაცნობი“ წითელბაფთიანი გოგონა ზის. გვერდში ვიღაც სუვოროველი მისჯდომია. მოიცა, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! ეს ხომ სწირნოვია! არ მინდა თვალეგს დავეუჯერო, მაგრამ მოდი ნუ დაუჯერებ, როცა გარკვევით ხედავ, სმირნოვი და წითელბაფთიანი გოგონა ერთად სხედან და მხიარულად საუბრობენ.

სწორედ რომ გითხრათ, შემრცხვა, თუმცა ახლაც არ ვიცი, რა მქონდა სასირცხვილო. გზიდან მარჯვნივ გადავუხვიე, ბუჩქებივით გამავალი ბილიკით მალულად გავედი ბაღიდან. სმირნოვისა და ჩემი „ნაცნობი“ გოგონას ერთად ნახვამ გული მატკინა. ჩვეულება მაქვს, სხვისა არაფერი არ შემეშურდებოდა. ახლა კი სმირნოვისა შემეხარბა. რა მოხერხებულები ვინმეა სმირნოვი. ხედავ, გოგონს გაცნობა უკვე მოუსწრა. გაიცნობდა, მაშ არ გაიცნობდა. სმირნოვი ყოველ კვირაობით ქალაქში დადის. მე კი აკრძალული მაქვს. არაუშვასრა, რალა ბიჭი ვარ, თუ მეც არ გავიცნოვ გოგო. ჯერ ვნახო ერთი, როგორ ჩაივლის ეს ამბავი. მერე მე ვიცი.

ორსართულიანი სახლი, რომელშიც სკოლის ოფიცრები ცხოვრობენ, გორაკზე დგას. მიხვეულ-მოხვეული გზით სიარულს, მაღლობზე პირდაპირ მიმავალი ბილიკი ვამჯობნენ.

შეუსვენებლივ ავირბინე გორაკზე.

გორაკს მეორე მხარეს პატარა ხევი ეკვრის, რომლის კალთები შეფოთილი ბუჩქებითაა დაფარული. ხევის ძირში წყაროა. მისი ჩუხჩუხი საამოდ შერთვოდა ხევიში ჩამოვარდნილ მყუდროებას.

ხევი დავევი და წყაროს გვერდით მიმავალ ბილიკს გავყვევი. ხევი სულ უფროდაუფრო ვიწროვდებოდა. უცბად ჩამობნელდა. ხევის მაღლა ვიწრო ქუჩასავით მოჩანდა ცის მუქ-ლურჯი ზოლი.

— მამა, მამიკო, — მომესმა ბავშვის ხმა, — ხედავ, წყაროსთან პატარა ოფიცერი დგას.

— შენ ეი, პაიჭაძე! აქეთ წამოდი, არ გინდა ჩემი ვაჟაკი გაგაცნო? — გადმოძახა ბუჩქებიდან ლეიტენანტმა.

ძალიან გამეხარდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, უკვე ოფიცრის მეძახიან. წელში გავიმართე, მკერდი წინ წამოვწიე, ხელები ოდნავ მოვლუნე და თავმოწონედ გავემართე ლეიტენანტისაკენ.

— მე თქვენთან მოვედი, აზნანაგო ლეიტენანტო, პაკეტი მაქვს გადმოსაცემი, — როგორც წესი და რიგია, მოვახსენე ლეიტენანტს და პაკეტი გადავეცი.

ლეიტენანტს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ხელში ეჭირა ბუბუნოვის წიგნი „თეთრი არყის-ხე“. შორისადაც მისი პატარა ბიჭი იდგა. ბავშვი მამასავით ქერა იყო და მასავით თვალები ერთ-თავად უყინოდა.

სანამ ლეიტენანტი პაკეტს წაიკითხავდა, ბიჭს გამოველაპარაკე. ბავშვი ძალიან ცნობისმოყვარე გამოდგა. რაღას არ შემეცითხა, თან ისე მელაპარაკებოდა, გეგონება ეს კი არა, მე ვიყავი ოთხი წლისა.

შეეცქეროდი პატარა ბიჭს თვალებში, მაგრამ არ მესმოდა მისი სიტყვები, აქამდე არავითარი ექვი არ დამბადებია, ახლა კი მთელი ჩემი გონება ერთ აზრს მოეცვა: რა ეწერა პაკეტში, რად კითხულობდა ლოგინოვი ასე წარბშეკვრით მას?!

ამასობაში ლეიტენანტმა პაკეტის წაკითხვაც დაამთავრა.

— სუვოროველო პაიჭაძე, გადაეცი მორიგეს, რომ მე ახლავე გამოეცხადებები გენერალთან.

ბრძანება გავიმეორე და ჩქარი ნაბიჯით სკოლისაკენ წავედი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



იზარდოს ხორბლის ბარაქა

ძმობილებს გაჰყვა ჩემი ძმაც.
ტრაქტორით მიდგვრის მშრომელი,
ბიჭი მტკერის პირად გაზრდილი,
მტკვარივით დაუდგრომელი.

ჩქარობდა, მიუხაროდა
ყამირებისკენ ურალში.
ლაზათს მატებდა შავგვერემანს
შავად აშლილი უღვაში.

ეზოდან რომ გადაიოდა,
მხნე ბიჭი უფრო მხნედ იყო.
სოფლის ბოლომდე მიგყვებით
ბასით მე და დედოკო.

წავიდა, საგზლად წაიღო
გუნდად შეკრული, ქებული,
ქართული პურის შოთები,
თონისგან შეწითლებული.

გაჰყვა იმედი კაცური,
თანდაყოლილი აკენიდან.
ყამირთა გადასახნავად
ძმებთან ურალში დამკვიდრდა.

«მიწას შევებით, ყამირს გტეხთ...»
გვწერს ახლა ქართლში ძამიკო.
იქაც მამაცი იქნება,
როგორი მარჯვეც აქ იყო.

მათი ტრაქტორის გუგუნნი
აქაც სიცოცხლის ხმად გვესმის.
რა უსაზღვრო გვაქვს სამშობლო,
რა ბევრი სახნავ-სათესი.

— ტყედება ყამირი! — დაძახიხით
ბავშვებიც სოფლად, ქალაქად...
იზარდოს ხალხთა სიკეთედ
საბჭოთა ხორბლის ბარაქამ!

გიორგი ჯაჭხიძე



ნახ. გ. ფოცხიშვილისა

საკაი გელიაშვილი

საიღუმლო გემოქვაბუდი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ერთი კვირის შემდეგ ოსიკოს ტელეფონით ველაპარაკებოდი:

— იცო რა, პატაცეცემული ოსიკო, რაც იმ ზეენი ექსპედიციიდან დავბრუნდით, წვეთი არ მძინებია.

— რა იყო, ბიჭო? — მკითხა მან მხიარულად.

— რა და, ის საბუთი არ მახვენებს.

— რა საბუთი?

— აი, მერმე რომ ამოვიკითხა. რად სწერია იქ: მიჰყე ნასროლსა ისარსაო? ალბათ, მართლა უნდა ისროლს ისარი და იმ კვალს მიჰყე, თორემ ისე რად დაწერდნენ.

— აი შენ რა ვითხარი. — დაცინვით წამოიძახა ოსიკომ, — მართლა სროლა რა საქარაა, ბიჭო, დახატული რომ იყო, იმ დახატული ისრის მიმართულებას უნდა გააყოლო თვალი და იმ გზით წახვიდე.

— აგრე რომ ყოფილიყო, რადაც დაწერეს მიჰყე ნასროლსა ისარსაო, მაშინ დაწერდნენ გააყოლი თვალი დახატულ ისარს და იმ მიმართულებით წადიო. არა, აქ რადაც საიდუმლოება უნდა იყოს.

— კაცო, შენ მგონი გაგაგებებს ეს ერთი ფარტინა ქაღალდი. რა საიდუმლოება უნდა იყოს? ისარს გაიხვრი, წავა პირდაპირი ხაზით და სადღაც ასი ან ორასი მეტრის შემდეგ დაეხობა მიწაზე. გათავდა. მეტი რა უნდა იყოს? იცო რა, თუ მართლა არ გიძინია, დასაძინებელი უხვნილი დალიე და გამოიძინე, თორემ ისე ურეგ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წასაყვანი არ ვამიხდე.

ეს მიიხრა, მილი დამიკიდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თვითონ დამირეკა:

— ოთარ?
— გიმხე.

— ისრები რისგან კეთდებოდა უწინ?
— რად გინდა, ღომის მოხარვეად ხომ არ გპირდებო? თუ, შენც აუარე!

— ავურიე კი არა, მგონი მეტიც დამემართოს. შენ რომ შეუწინდელი კაცს, წახულია მერე მისი საქმე. რისგან კეთდებოდა?

— უმეტეს შემთხვევაში რკინისაგან.

— რა ზომისანი იყვნენ?

— ეგ, ვაჩნია როგორი იყო მშვილდის ზომა. საბა სულხან ორბელიანის განმარტებით, ისარი ზოგადი სახელია ყოველთა ისართა და განიყოფებიან ზრითა და პირთა სხვადასხვა სახელად.

— ზრო რადა ეშმაკებია!

— ზრო ისრის ტანია.

— მერე, მერე?

— მერე რა. ფრთედებალი და პირწვირილი, რომელსაც ყოვჩადნი ხმარობენ, არის საყალბო. ზომიერი ისარი ფრთებმოზრტყე და პირმოზრტყე არის სარჩა. იმაზე უგრძობესი პირილი და ფრთედალი არის ქვიბური..

— რაო?
— ქვიბური.

— მაშ, მაგის გამო ჰქვია შენი აზრით იმ ხეობას ქვიბურას ხევი? იქნებ „მიჰყე ნასროლსა ისარსა“ ნიშნავს: გაჰყე ქვიბურას ხევსო?

მართალი უნდა ვთქვა, რატომღაც ეს აზრი აქამდე სულაც არ მომსვლია თავში და ახლა პირდაფენილი „დავცქვიროდი ტელეფონის აპარატს.“

— ქვიბურას ხევსო...— ვლუღლუღებდი მე,— იქნებ მართლა ასეთა... მეტაფორული მნიშვნელობით, ნამდვილათ კი მართლა გულხისხობდებს იმას, რომ ხევის-გასწვრივ უნდა ვაწარმოოთ ძებება.

* ვაგრძელებ. დასაწყისი იხ. ქურნ. „პიონერი“ № 6.

— არა, ეს მიმოტევა უარსაყოფია. აგრე ადვილი რომ ყოფილიყო იმ გამოქვეაბულის აღმოჩენა, ეს ხეობა ათასჯერ არის თავიდან ბოლომდე ავლილი მტრისა და მუყერის მიერ. აქამდე ნახულიც ექნება ვინმეს და გადანახულიც. ჩვენ ისევ ისრის სროლის მიმოტევა უნდა დადგურებოდეთ, სად შეიძლება ნახოს კაცმა ძველებური მშვილდ-ისრები?

— მუჭუემში.

— მაშ ხვალ მე და შენ ვიწყებთ ამ უჭედეგს იარაღის შესწავლას, ხოლო ამის შემდეგ სახელოსნოში ვცეკეთავთ ქეიბურებსაც და გორგასლანის შესაფერ მშვილდსაც.

შეირე დღეს მე და ისიკომ მართლა დავიარეთ მუჭუემები და ყუველგვარი ზომის ძველებური მშვილდ-ისრები დავათვალიერეთ. მუჭუემის თეთრწვერა თანამართლილი დიდი მცოდნე აღმოჩნდა ამ საქმისა და მან ბევრი რამ საინტერესო გვამოხა ამ იარაღის შესახებ.

— მონღოლები ერთი ქვა აღმოაჩინეს, რომელზედაც ძველისძველი წარწერა იყო ამოკეთილი, — გვიამბო მან, — როდესაც ეს წარწერა ამოიკითხეს, იგი აღმოჩნდა ჩინგის-ყუენის დროინდელი. თურმე ჩინგის-ყუენს მოუწყვია შეჯიბრება მშვილდოსნობაში და ერთ მეომარს ისარი ნიშნის მოუხვედრება, თანამედრფე სიღლითი რომ აღენიშნოთ, რვახი მეტრის მანძილზე.

— ოჰი! — აღტაცებით წამოვიძახებთ ერთადვე.

— მაგრამ უფრო საინტერესო ამბავი უნდა გიამბოთ. როდესაც სპარსეთის მეფემ კამბიზმა ეგვიპტის ფარაონი დაამარცხა და მისი ლაშქარი მთლად გაანადგურა, მან განიზრახა ეთიოპიის სამეფოზედაც გაელაშქრა და ამისთვის წინასწარ გაგზავნა მხვერავი რაზმები. როდესაც ეთიოპლებმა გაიგეს კამბიზის განზრახვა, მათ სპარსეთის მეფეს საჩუქრები გაუგზავნეს, მათ შორის ერთი მშვილდიც მოართვეს და შეუთვალეს: თუ შენს საზრძანებელში ნახავ კაცს, რომელიც ამ მშვილდის ღარს მშვილდებს და ისრის გასროლას მოახერხებს, მაშინ გამოილაშქრეთ ჩვენს წინააღმდეგ და თქვენნი გამარჯვებაც ბედს მიანდეთო, ხოლო, თუ ასეთი არავინ აღმოჩნდეს, მაშინ გაუღწურებოდა გირჩევა განზრახვაც ხელი აიღოთ, რადგან ბედის იმედი ნუ გექნებოთ. კამბიზმა მაშინვე იხმო სახელგანთი გოლიათები, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა აღწევაც კი ვერ გადრიოა მშვილდის ღარი. ამის შესახებ მშვილდ არავის და მისიხდეს ენახა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით

გავრცელდა ჯარში, და როდესაც კამბიზმა მაინც გასცა განკარგულება სალაშქროდ წასვლისა, ჯარმა ადგილიდან ფენი არ მოიცილა.

ჩვენი ძალიან მოგეწონა ეს ნამბობი, მოხუცი კი განაგრძობდა:

— ქართლის ცხოვრებაში ვახტანგ გორგასლანის შემადიანე მოგვითხრობს, რომ როდესაც მოგვთავან გამოვიდა ბუმბერაზი, რომელსა ერქვა ბაყათარ, იგი იყო გოლიათი და იყო სიგრძე მშვილდის მისა თორმეტი მტკაველი, ისარი მისი ექვსი მტკაველი“.

— ოჰო, ამოდენა მშვილდის ხელში დაქერა მგონი ვერც აღმატელმა კალთაბურთელმა ახტავმა შეიძლოს! — წამოიძახა ისიკომ.

— მით უმეტეს, თუ იმ გოლიათის მტკაველს ვიგულისხმებთ, — სიცოლით დავძინე მე.

ჩვენ დავთვალიერეთ მშვილდებიც, ისრებიც. ისიკომ სათანადოდ ჩინახა ისინი რეულში და აღმოთქვა, რომ შემდებმ კვირას ჩვენ ისეთი მშვილდ-ისარი გვექნება, მგონი კამბიზსაც კი არ ენახოსო.

— მშვილდს სათანადოდ შერჩეულ ხისგან გათლი, ისარსაც რკინისს გააქედინებ, ღარს რისგან აკეთებ? — ვერ ვიხსენებდი მე. — შენ ხო არ გგონია ძველებურად მოთელილი ძარღვისგან დაგვრე მას.

— ნუ გეშინია, მაგასაც გავაკეთებ.

— რისგან?

— კაპრონის ძაფისგან დავაგრებინებ. ისეთი მაგარი ღარი გვაკეთებინო, რომ ორმა ტრაქტორმა ვერ გაწყვიტოს. ისრებსაც ისეთს გვაგზავნივინებ ავ თვალს არ ენახებოდეს. შენ ნახავ, თუ იმ სიმორცხე არ იტოვრცნო ისარი, თვით ჩინგის-ყუენის ფელავანსაც კი ვავაგზო.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ისიკომ დამირეკა, ჩემთან მოდი თუ გინდა მშვილდ-ისარი გავწინო და, თუ კარგი ბები ხარ, იქნება მისი ღარი მოსივლიდო.

* * *

მე და ჯანიოც, ცხადია, მაშინვე გავემართეთ ოსიკოსთან. ის შინ დავვიხვდა. თავის ბავშვებთან თამაშობდა. მათთვის საბავშვო რკინიგზა გავწყო და იყვნენ ერთ ამბავში.

— ოო, მოდი, მოდი, — შეგვეგვება ის მზიარულად, — ახალი რკინიგზის სახის გასწავს დაესწარიო. აბა, ლექსო, შენ დენი ჩართე. თათარ, ისრები გადაიყვანე. დაჰკარით ზარი, ძინ, ძინ, ძინი უ, უუუ, დაიძრა მატარებელი.

ჩვენ, როგორც აღვთოვანებულმა აულეტიორიამ, ტაში დავცხეთ, მაგრამ მათი ელმავალი რატომღაც გაჯიუტდა, ზუ-ზუნი დაიწყო და ადგილიდან არ დაიძრა.


— ეი, ეგ ჩვენი საიდუმლო გამოქვაბულის ძებნასავით მარცხით მთავრდება მგონი! — ვუთხარი მე.

— შენ ასე ფიქრობ? — ოსიკომ ჯიუტად გადმომხედა, მერე ელმავალს წყობურტო წაშტრა და ისიც დაიძრა და დაიწყო სირბილი წრიულ დიანდგვზე. — მუცტყოზ, რომ ჩვენი ძებნაც ასე დამთავრდება.

თვქცე, წამომიპარო და ორთავენი კაბინეტში წავიყვანა.

— აი, ნახეთ, რა მშვილდ-ისარი გავაკეთე! — გვიხიზრა მან და კედლიდან ლურსმანზე ჩამოკიდული მშვილდი ჩამოიღო.

ის მართლა მშვენიერი რამ იყო. თვითონ მშვილდი იხე ღარსადაც იყო გათლილი და შუაშიც ხელის ჩასაჭიდი იხე კახხად მქონდა გამოკოლიტებული და თანაც ვარანდული, რომ შეხედვით ღირდა. ღარი შედარებით წვრილი იყო, მაგ-



ერთი კვირის შემდეგ ოსიკოს ტელეფონით ეგლაპარაკებოდი

რამ ისე მაგარი დატომული, რომ თითო მოწიფდა ვერ შევძელი.

— ეშე, ეს არ გაწუდება? — ვიციხე მე.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, — მიპასუხა ოსიკომ.

— იცი რა, — ვუთხარი მე ოსიკოს, — აუცილებლად მარცხენა მავაზე, თუძე მაგაზე ეი არა მთელ წურთაზე სქელი ტყვის სახელი უნდა გააკეთებინო, თორემ ღარს რომ მოწიფდა და ისარს გაიხვრი, ღარი სულ ჩაგატყავებს მკლავს.

— ვიცი და კიდევც დაამაზად, — ოსიკო უფრავს მისწავა, აქიდან სქელი ტყვის სახელი ამოიღო და მარცხენა ხელზე გაეთავა, — ეს მე სურათებში მქონდა ნახული ამერიკელ ინდოელებს რომ ეკეთათ მაგაზე და წარმოდგენა არა მქონდა რად იკეთებდნენ ამ ტყვის სახელობებს. მერე გავიგე, თურქმე მშვილდოსანს ის მუღამ უნდა ჰქონდეს ხელზე გაკეთებული. ეგ ეი არა ღარის მოსაწიფად აი, ასეთი რამ უნდა გაიკეთოთ თურქმე თითებზე.

ესა თქვა და გამოვიწვიდა რკის სათითური, რომელშიაც ორი თითი — საღიკო და შუათითი ეტყოდა. ჩვენ ის გულდასმით დავათვალიერეთ და მე ახლა ამით ვცადე მშვილდის მოწიფვა.

ტყულად ვცდილობდა. ოდნავადაც ვერ მოვდრიკე.

— მომეცი აქ, — მითხრა ღიმილით ოსიკომ, — შენც იტყვი ვაჟკაცი ვარო!

მოჰკიდა ხელი და მძლავრად მოწიფა, მერე ნახსობიტა და ღარმა ისე დაიწუჭუნა, თითქოს დიდ ზარს შემოხტებოდა. მშვილდთან ერთად ისრებიც დავათვალიერეთ, რამაც საერთო მოწონება დაიმსახურა, და დაგვეწყვიტეთ მომავალ კვირას კვლავ გავმწავებრებულყავით ქეიბუტრას ხეში.

მართალია, მე ერთ ხანს ძალზე განვიცდიდი იმ ჩემ მიერ აღმოჩენილ საბუთების ტექტში თქმული სიტყვების მნიშვნელობას, ნასროლი ისარს მიპყვიეთ, მაგრამ ახლა უკვე ეს ჩვენი გავსარახვა და მშვილდ-ისარი იმ გამოქვაბულის ძებნა ბავშვურ განსრახვად მიმაჩნდა და ცოტა არ იყოს კიდევაც მრცხენოდა, რომ ამ მშენიო მივემწავებრებოდი ქეიბუტრას ხეში. ამიტომ არავინათვის არ გამაზებელია, ცხადია, ჯანციოს გარდა, სადაც დაპირებული წესაღას.

კვირას მ რტო მე, ოსიკო და ჯანციო გავემწავებრეთ. მერი არ წავიყვანია, რადგან ძალიან ცივი დღეები დაიჭირა; ბავშვებს ვერ წავიყვანდი, ამიტომ დაიასახლდნენ იძულებული იყო შინ დარჩენილიყო.

გზაში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხლოდა. ბუნება თითქოს მიძინებულყო. მარტო ყვავები დალაყვებულდნენ ზღის გასწვრივ, ან ჩამომსხდარიყვნენ ტელეგრაფის ბოძებზე, ხანდახან გვეხებოდა ზამთრის საძირებზე გამოყვანილი ცხვრის ფარები. ნაბლები გახვეული მწყემსები ქვის ქანაქალებივით აშორებულყვნენ. ბანჯგელანი ნავაგებო ერთის უფა-ღაღაღადი ვაჟკაცურად უხვდებოდნენ ჩვენს მაჩანას და ცდილობდნენ ბოროტებზე ეკიბნათ.

უნდა ითქვას, ახლა რატომღაც ძალიან დაგრძელდა გზა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ოსიკო, რაკი ბავშვები არ უფადა მაჩანაში, ეღვის სისწრაფით მიაქრებოდა თავის „პოხდასტ“, სიჩქარის მაჩვენებელი ისარი ხშირად ოთხმოც კილომეტრს ვეჩვენებდა საათში.

ბოლოს, როგორც იქნა, მივადწვიეთ იმ ადგილამდე სადაც ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევები იყო.

— აქედან იწყება სტარტო ჩვენი ძიებისა, — თქვა ოსიკომ და თავისი მშვილდ-ისარი გამოიღო მაჩანაიდან.

მივღეთ იმავე კუთხითან, სადაც ჩვენი ისტორიული ქვა ისევ თავის ადგილას დავგვდა, დაჩრქვილ-დასახიჩრქვული. ოსიკომ მომართა თავისი მშვილდ-ისარი.

— აბა, მკვლევარო, მითხარი რომელ მხარეს ვისრულა, — მითხრა ბან.

მე კვლავ ავუხსენი: როგორც მახსოვს ნახატე ისარი ხმ. ხრეთით იყო მიმართული-მეთქი.

ოსიკომ დაჰემა ღარი და ისარი იმ მიმართულებით გასტყურა.

ჩვენ დაძაბული ყურადღებით გავაყოფით თვალს გავრინოლ ისარს, რომელიც ჯერ პირდაპირ წავიდა, მერე რატომღაც მარჯვნივ მოუხვია და დაახლოებით ასორმოცდაათი მეტრი მაძინდის მოშორებით მიწაში ჩაეჭრა.

— ოჰო, ეს რა ამბავია? — აღმოხდა ოსიკომ. — ქარი რომ უზრავდეს, ვიტყვდი ისარი ქარმა წაიღო-მეთქი მარჯვნივ, დაიცა, მეორე ვისრულა.

კასარბედი ოსიკო ამოიღო და ისევ იმ მიმართულებით გასტყურა.

იგივე მოხდა. მეორე ისარი ასევე ჯერ პირდაპირ წავიდა, მერე მარჯვნივ მორკალა ხაზი და ისევ პირველი ისრის გვერდით დასვო.

ჩვენ თავებუდმოვლევადი გავიქეციოთ იქითენ და იმ ადგილას მივიბრინეთ, სადაც ისრები მიწაში იყო ჩარჭობილი. ისრები ანთვამრეთ და ავტომ შევათვალიერეთ. არაფერი საყურადღებო არ იყო. ძეძვებით და შემოდგომის გადამწვარი ბლახით დაფარულ კორღზე მეტს ვერაფერს ვერ მოვკარიოთ თავი.

ოსიკო დალოჭრებული ათვალიერებდა მიდამოს და შეკითხვებზე პასუხს არ გვაძლევდა. მან ისევ მომარჯვა მშვილდ-ისარი და წინათ ნასროლი ისრის კვლის გაგრძელებაზე გატყურა.

ისარმა ახლა რატომღაც მარცხნივ გადაუხვია.

ოსიკომ მეორე ისარი მიაყოლა. ისევ იმ გზით წავიდა.

ჩვენ ახლა იმ ადგილზე გადავიწაცეთ. არც იქ იყო არაფერი საყურადღებო, მაგრამ ოსიკოს დაძაბულ გამოძეტყველებზე ვატყობდი, რომ ის ამ უცნაურმა მოვლენამ საიცარად დააუჭრა.

მან კვლავ გატყურა ისარი ამ მრუდ ხაზის გაგრძელებაზე და ისარმა ისევ მრუდ მოხაზა. ახლა მარჯვნივ მოუხვია, ის იყო რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენა.

ერთ ხანს მე და ჯანციო ვეჭრობდით, რომ ეს ან ისრის სიმრუდის ბრალი იყო, ან იმის, რომ მივსიკოს ხელი არ ჰქონდა გაჩვეული სროლაში, მაგრამ რამდენჯერაც არ გავიმეორეთ გასროლა ერთი და იგივე ადგილიდან, ისარი მუდამ ერთნაირად იხრებოდა. მერე თვით ისრები ისე სწორად იყო განაჩრბული, რომ სახაზავების სისწორის შესამოწმებლად გამოვადგებოდა.

ოსიკომ დაახლოებით ათჯერ თუ თერთმეტჯერ გასტყურა ისარი და ამ ისრის მიხვეულ-მოხვეულმა კვალმა ბოლოს ერთ ფრიალო კლდის ძირას მივგვიყვანა. სრულიად სვლა მიმართულებით, ეღრმე პირველად ეცემალი. მაშინ ვერც ეი წარმოვიდგენდით, რომ ამ მხარეს უნდა წამოვსულიყავით.

— აბა, მე მგონია ეს არის ბოლო ჩვენი ისრის კვალისა. ამ კლდეზე ვერაფერც რომ მივინდომოთ ხაზის გაგრძელება, მე ისარს ვერ ვადავაცილებ.

ფრიალო კლდე მართლაც ძალზე მაღალი იყო და შევუღალე ამართული ზვიადად დავეცქირებოდა თავზე.

მე და ჯანციომ მაშინვე გავცოცხრეთ დავუწყეთ თვალიერება ღურბინებში კლდეს, ხან მარჯვნიდან მივუღდეთ, ხან მარცხნიდან. რამდენჯერმე აუფარ-ჩაუფარეთ იმის საფუძველს, მაგრამ ვერაფერი ისეთი, რაც ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა, ვერ აღმოვაჩინეთ.



ოსიკომ მეორე ისარი წიავალა.

ოსიკომ კი თითქო სრულიად დაკარგა ინტერესი იმისადმი, რასაც ჩვენ ვეძებდით.

გაბრუნდა და კვლავ ისრის სრულით გააქვა იმავე კვალს საიდანაც მოვედით. გააქვა და ისარმა იგი ზუსტად იგივე მიხვეულმოსხვეული გზით მიიყვანა ძველ ნანგრევებამდე.

შემდეგ კვლავ დაბრუნდა ჩვენთან, თან გზადაგზა მიღამოს გულდასმით ათვალერებდა. დაღლილი ჩამოჯდა ქვაზე და თითქო ამოიხარა, ისე წამოიძახა:

— მო, მო!

— რაო ოსიკო, შენი ისრები რატომ უხვევენ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ?

— უკვე ვიცი რატომაც.

— რატომ, რატომ, გვიხარია, — მოუთმენლად მივაძახეთ ორთავემ.

— ჯერ დაიცათ. ბერის ცოდნით ადრე დაბერდებით, — ღიმილით გვიასუსხა მან, — ჯერ კიდევ უნდა შევამოწმო და მერე...

შეჩერდა, უნდოდა რაღაც გაემხილა, მაგრამ ეტყუა გააღიღქრა და თვითონ შეგვეკითხა:

— მართლა, როგორაა გამოკვაბულის საქმე? ვერ აღმოვაჩინეთ? თუ ამ კლდეში არ არის ის გამოკვაბული, მაშინ აღარ ვიცი სადღა უნდა ვიძებნო იგი.

— აქ მისი კვალიც კი ვერ შევნიშნეთ.

— მაშინ ჯობს ჩვენს განზრახვაზე ხელი ავიდეთ.

უკან კვლავ გაწვილებული დავბრუნდით.

ერთი თვის შემდეგ ვაწიკომ შემოიარა ჩემთან.

— გაივც ახალი ამბავი? — მითხრა მან. — ოსიკო ისევ წასულა ქიბურას ხევში.

თი იმყოფა და გადაეწყვიტე: ნადირობით თუ ვერ გავუტოვლდე-
ბოდი, თოფი მაინც მეშოვა იმის თოფის მაგვარი.

საგანგებოდ წავედი ქალაქ ტულაში. ტულელ მეიარაღებს
აუგუსტინი ჩემი მღვობარეობა და ეფთხარი, ფული რამდენიც
იქნება საჭირო აიღეთ, ოღონდ ისეთი თოფი უნდა გამიყვითოს,
რომ ვერც ერთი საზღვარგარეთული თოფი მას ვერ შეეადაროს,





ექვსი თვის შემდეგ მართლაც მივიღე თოფი და, უნდა მოვახსენოთ, ძალიანაც მიმეწონა.

ვერც გაერაში და ვერც შორს მიტანაში-მეთქი. თან ბაქრაძის ინგლისური თოფის შესახებ ყველაფერი ეუბანზე, მიმიხედნენ ტულელები რასაც ვთხოვდი. რაკი საქმე ერთგულ თავმოყვარეობას ეხებოდა, უფრო პასუხისმგებლობით მოვიტანე ამ საქმეს და ერთხმად მირჩიეს მიმეშარათა ერთი უხუცესი ხელისნისათვის, რომელიც სიბერის გამო ქარხანაში აღარ მუშაობდა, მაგრამ თუ დავითანხმებდი, ისეთ თოფს გამიყვებდა რომ წუნს ვერაფერი დავეცებდი.

მოხუცი ხელისანი, რა თქმა უნდა, მალე ვიპოვნე, ოღონდ დიდხანს ვერ დავითანხმე. მივიღე რიგი სიმძნელები დამიხატა!

— მაგის ფოლადს განსაკუთრებით უნდა შეზავება და ქარხნის აღმინისტრაცია ლაბორატორიით სარგებლობის უფლებას არ მომიცესო.

მე შევიბრდი, რომ ქარხნის აღმინისტრაციასთან ყველაფერს მოვაგვარებდი. ბოლოს დამეთანხმა მოხუცი, წელიწადი გასწორდა, უღვაწებზე ხელი გადაიხა და ამაყად მიიხარა:

— თოფს გაგაყვებოთ ისეთს, თუ მონადირე ხართ და იარაღის მცნობელი, რომ ვერც ინგლისური, ვერც გერმანული და ვერც ბელგეტიური თოფი მას ვერ მიუღებია...

მოხუცი გაგამხნევე: თქვით რაცა ღირს თქვენი შრომა, არაფერზე გულის არ დავწყვეტეთ-მეთქი.

ოსტატმა იმ დროისათვის ზღაპრული ფასი, 150 მანეთი მხოვო. არც ერთი საზღვარგარეთული თოფი მაშინ იმის ნახვევრად არა ფასობდა, მაგრამ რაღა კაცი ვიქნებოდი მაშინ, რომ იმ თეთრწვერა დიდოსტატის წინაშე წუწურაქობა გამო-მეჩინა და თავი შემერცხენა. ამოვიღე ერთი ცალი ასანთიანი და სამი ცალი ოცდახუთმანეთიანი, გავეწოდე და ვუთხარი: ნებეთ, მე ვთხოვართ, ჩემისთანა თოფი არავის არ უნდა ჰქონდეს-მეთქი!

მოხუცს გეონა რომ ერთი ცალი 25 მანეთიანი შევლომით გადამიყვა და უკან უნდა დაებრუნებინა, მაგრამ ფული ისევ მივიცი.

ასეთმა გულმუხვობამ მოხუცი ხელისანი მოაღბო, თავლები გაუბრწყინა და გულახდილად მოხარა:

— ორ თვეში უნდა დამემზადებინა თქვენი თოფი, ასე მქონდა

გადაწყვეტილი, მაგრამ რადგან არც ვაჭრობა ვამიშარეთი და 25 მანეთი ზედმეტად გადაიხადეთ, არც მე დაჯერებოთ ვალში, ეს უფრო მეტ მოვალეობას მაკისრებს. თქვენ რომ თოფი გამეძლერებათ, იმას ექნს თვეზე ადრე ვერ გავაკეთებ, ოღონდ იმას კი გეტყვით, თქვენი თოფის ზადალი არავის არ ექნებაო.

ექვსი თვის შემდეგ, მართლაც მივიღე თოფი და უნდა მოვახსენოთ, რომ ძალიანაც მომეწონა, როგორც ნაკეთობა და სილამაზე, ისე მისი ვაჭრა და შორს მიტანა.

ვეფიქრობდი, ერთხელ მაინც ვწვევოდი ბაქრაძეს, ან ჩემთან დამებატოვებ და მის თოფთან შემეჯობებინა, მაგრამ სამსახურის საქმეების გამო ვეღარ მოვახერხე. ისე კი ცოცხალ დამოუკიდებლად და კარგი შედეგით მოვა: ბაქრაძის თოფი თუ ასოც ნაბიჯზე ექვსი ნომრით კურდღელსა კლადა, ჩემი თოფი იმავე ექვსი ნომრით ასოცდაათ ნაბიჯზე მელა წაგაქვირე.

სიმაართლე უნდა ითქვას, სროლაში ბაქრაძესთან ვერ მოვდიოდი, მაგრამ ის კი შევეძელი, რომ იმაზე უკეთესი თოფი გაეკეთებინე.

შემდეგ ბაქრაძის მეზობლებმა ერთი უცნაური ამბავი მიაბეს: სიბერის დროს იგი ორივე თვალით დაბრმავებულიყო, მაგრამ როდესაც ნადირების სეზონი დადგებოდა, ბერ მონადირეს ვერ აკავებდნენ თურმე სახლში — ბიჭის თანხლებით დადიოდა სანადიროდ. ძალიან რომ ხიხიბს ნახულზე გაუჩქარდებოდა, ბჭი მას აცნობებდა: — ბაბუა, ძალიან ნახულზე დგასო. მაშინ ბერი მონადირე თოფს მოიმარჯვებდა, ძალს უბრძანებდა წინ წაედგა ფეხი და აფერიდებ ხოხობს ხმაურზე ესროდა. ამბობდნენ, ახლაც კი ძალიან იშვიათად აცილებდაო. ასეთი და ამის მსგავსი ამბები ჩამოჰქონდა თბილისში ხალხს, სანამ ბაქრაძე ცოცხალი იყო. მისი სიკვილის შემდეგ კი მითხრეს — შვილიშვილმა თოფი გაკეთა.


იმ მოხუცის აღწერილი თოფებით ისე დავინტერესდი, რომ გადავეწყვიტე მენახა ისინი და თუ კიდევ ვერაღონდენ რამდენ ერთ-ერთი მათგანი მაინც შემეძინა. ბაქრაძისგული თოფის ნახვა არც ისე იოლი იყო. მოხუცმა თითონაც არ იცოდა რომელ სოფელში იყო ბაქრაძე. ან ის კაცი ვინ იყო და სადა ცხოვრობდა, ვინც მისი შვილისაგან შეიძინა თოფი და კიდევ საკითხი იყო, დაკარგვდა თუ არა. ან, რაც მთავარია, მართალი თქვა თუ არა მოხუცმა?

როდესაც მოხუცმა შიკრიკმა კიდევ შემოვივარა, პირდაპირ ვერ გაუხუცებდი, რომ თოფი მოეყიდნა და მხოლოდ მისი ნახვის სურვილი გამოუთქვი.

— დიდი სამოწინებო, რატომაც არა, — მომიგო მოხუცმა, — თუ ნამდვილი მონადირე ბრძანდებით, დარწმუნებელი ვარ, თოფს გაუჭრახხიხლებით და შემოძლია სანადიროდაც გაგატანათ. გასწავთ, ვერც ნამდვილად მოგეუწყებთა და იქნებ მეც რა ხახიათზე დავდგე... სულ ერთია, სანადიროდ წამსვლელი აღარა ვარ... ჰაი დიდასა! რა მურაზით გაგაყვებინე...

გულწრფელად შემებრალა მოხუცი. რაღა ბერი გაგავრჩელო. მეორე დილით სამსახურში შემოიარა და თოფი მომიტანა. ძალიან მომეწონა და დაუსილი სიკეთე მოვაგვეყვინე, აღარ მივაჭრინა, არავინ შემევიცილოს-მეთქი, რაც დამიფსავა, მივიცი.

კვირას უკვე სანადიროდ ვიყავით. ვერც დავითის ლეზო მიუღდა სიძმსუბუქით და მისხრებებულობით. მერე მე, ბეტამ და კოტემა შევაღებთ ჩვენი «ზაურები», მაგრამ იმისთან შედარებით ჯგადადებით მოგვეჩვენე. შემდეგ ლევანის «პოლანდ-პოლი» მივეუყვინე, მაგრამ ტულელი ოსტატის მარჯვენიერ ნაკეთები ჩვენს თვალში თანდათან უფრო ბრწყინებდებოდა და ისე გვეჩვენებოდა, თითქოს კი არ უკეთებიათ, ან ჩამოუსხამათ, არამედ ასე დაბადებულა და შეზრდია ნაწილები ერთმანეთსო.



წვილათა წვილა



ეს მოთხრობა ეყუთნის ნიჭიერ ამერიკელ კომუნისტ მწერალს — მაიკ ქუინს. იგი თავის ნაწარმოებებში ხალხის მრავალმილიონიანი მასების სულისკვეთებას გამოხატავდა. მწარე სატირებში ქუინი შეუბრალებლად ამხელდა ამერიკის ცრუ დემოკრატიას და თანამედროვე ამერიკას მშრომელთა ჯოჯოხეთის უწოდებდა. მაიკ ქუინი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა ამ რამდენიმე წლის წინათ.



მაიკი თავის კანტურითა და ენის წყალსუნით შევიდა სახლში. მისი მრგვალი, პატარა თვალები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს აი ეს-ეს არის დანაშაულებე წაასწრესო. ქუინი, ჯოხის და ფარაჯა დარბაზში ჩამოვიდა. სამხარეთულოდან მეფულემ გამოსახა:

„მაიკ, მოხვედნი?“

პასუხი არ გაუცია. სასადილო ოთახში შევიდა და რევილიფერი ხელისნა. მეფულეც შემოვიდა, კურტუკის საწმინა-ღუმელზე სიმღერა შეიხოცა და, შეაფილა თუ არა თველი ქმარს, შიშისაგან კინაღამ გახშვდა: მაიკს თავი ძირის დაეხზარა... — იგი შეთავადა.

„რა მოგივია, მაიკ, სამეწალოდან ხომ არ დაგიბოხოვეს?“

— არა, ვმშაყმა იცის მისი თავი და ტანი. ჯერაც ვერ გამოვრკვეფულვარ, ღმერთო ჩემო! ეს რა საწინელება დამემართა! მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა? სად ჯანდაბიდან გამგევა? — სკამზე მოწყვეტით დაჯდა. გულზე მოეშვა ცოლს: სამეწალო არ დაუქარავს და უარესი რა უნდა მოსვლიდაო, ხოლო, მაიკი ხელგეხს იქნედა და ბუტუტუტებდა:

— ღმერთმა იცის, მე ისეთი კაცი არა ვარ, რომ ეს შეგებულად ჩამეღინა. ახლა კი რა წყალში ჩავვარდებ?

ვეებერთელა კაცი იყო მაიკი. მხრები ისე ჩამოწვებოდა თითქოს კისრის გაგრძელებას წარმოადგენდა. ყველაფერი ეს კვერცხის შესხედაობას აძლევდა. მეტი სიმსუქნით ჩამრგვალებულს უშევილებელი, დამკნარო, უზნო ხელები და პაქუც ცხვირი ჰქონდა. ცოლს მხოლოდ იმისთვის უყვარდა იგი, რომ პოლიციულ მაიკს შინ მდებარე ცხელ-ცხელი ანებები მოჰქონდა.

— ასე ნუ ზიხარ და დამბოხეფულივით ნუ თრთი. მითხარი, რა მოგივიდა, მაიკ?

მაიკმა დარღანად აიჩნა მხრები.

— ლინკოლნის მოედანზე დავედიოდი და მაწანწალებს ვერევიოდი. შენ იცი, ყოველდღე ვაეკვებ ამას. ვინ მოთვლის რამდენს მოეყარა თავი? ხელკეტი დავერიე და ვებრძანე წასულიყვენენ...

ამ ამბის მოგონებამ, ცოტა არ იყოს, გამოაცოცხლა მაიკი.

— ერთ-ერთი მათგანი, პატარა, მხრებში მოხრილი ვირობა, რომელსაც ძველი ჩინური დახეული პალტო ეცდებოდა დიდიდან არ დაიძრა, ჯაჯღანი დამიწყო, თავის მოქალაქობრივ უფლებებზე აღაპარაკა, თანაც მომინდა და მადინა... — მაიკს ბრახი მოუთქია და ხმას აუშაღდა, — მე მას ამ უფლებებზე ცოტა რამ მოვაგონე. იმან კი არც აცივია, არც აცხელა და დაპირავებული ტუტუტი მიწოდა. ეს როგორ გამიბედა-მეთქი, წამოვარტყი და იქვე გაიშოტა. მერე ისეთი წიხლი ამოვკარი, რომ, არა მგონია, ერთ ვერსას სკამს მიცკაროს დასაჯდომად. ბილოს, როგორც იქნა, იკადრეს წასვლა

— მერედა ვითომ რაო, მაიკ! დიდი რამე, თუ... ვგ რა სადარღოა, ვერ გამოვიცა. შენ კანონი ხარ და პატივისცემით უნდა გვეპრობოდნენ.

— მაშა! აბა, რა კარგი მოუვა ამ ქალაქს, თუკი პოლიცია მაწანწალების ნება-სურვილზე ივლის.

— შენ მართალი ხარ, მაიკ, მაგრამ მაინც რა მოხდა, მიამბე.


იმ ამბის მოგონებამ გუნება შეუცვალა მაიკს: — კარგი, გაიშობა. პარკს შემოვლავარ. ლინკოლნის ქანდაკების ქვეშ სამ მაწანწალოს წავეაწყდი. — მაიკმა მალღა ასწია თავი და ხმა-საც აუშაღდა, — უნდა გამოვტიტყდე, რომ ამჯერად მათთან სალაპარაკოდ დრო არ დამიკარავს. „აი, რაშა საქმე, ოთი-ცერო“... წამოიწყო თუ არა ერთმა, ხელი ვკარი. „იციკი ვისა ჰკრავ ხელს“, მომამახა თუ არა, წიხლი მივარტყი საჯდომზე. მე შენ ვიჩვენებ ვისა ვკრავ ხელს-მეთქი, დავუყვირე. ეს იყო და ეს. როგორც იქნა, წავიდნენ. მე რომ მკითხოს კაცმა, არც ერთ მაწანწალოს აღარ გავაუკანებდი ქალაქში, თორემ ბოლო დროს წესიერ მოქალაქეებზე უფრო მომრავლდნენ. ღმერთმა იცის, საიდან მოდიან.

მაიკს კვლავ დარბი დაეფულა.

— ისევ მესამე ტურისაკენ ვებრუნდებოდი. შევინშენე, ხის-ქვეშ სკამზე ბნელში ვიღაცა კაცი ჩამომჯდარაოცო. ვიფიქრე, აღბათ, მაწანწალო იქნება, ჰქონია ვერა ცხედავ და უნდა გამისხლტეს, უკანვე გამობრუნდეს-მეთქი. ასე მეგონა, მერი, და საჩქაროდ წამოვადგიე თავზე. ერთი მაგრად ვუთაქე ჯოხი და წიხლიც ამოვკარი.



...ბოლო დროს წესიერ მოქალაქეებზე უფრო მომრავლდნენ...



პიონერული ზაფხული

ნორჩი ტურისტები

გაგრასა და რიცას შორის დაკლანძილი გზებია, მათრახივით მოქნეული ვიწრო ბილიკებია.

მარცხნივ მწვანე კორდებია, მარჯვნივ ელვარე მთებია, გზას რომ მარდად მიჰყვებოან ნორჩი ტურისტებია.

ინახულეს „ტბა ცისფერი“ კამკამა და ელვარე, მერე აჰყენენ სიმღერებით ცადატურცნალ მწვერვალებს.

საქაროველოს მთები, ტბები აღელვებთ და ახარებთ და სამშობლის სიყვარული ასულდგმულეთ პატარებს.

ვლადიმერ ალფინიკი,
გალის რაიონის ოტობაიას საშუალო სკოლის მოსწავლე.



პირქვე დაეცა გზაზე: თურმე მკვლარი იყო.

— კეთილი. მერე რა მოხდა? რა ჯნა იმ კაცმა?
— საშინელებაც სწორედ ისაა, მერი, რომ არაფერი არ უქნია. პირქვე დაეცა გზაზე: თურმე მკვლარი იყო.
მერის ოსერა აღმოხდა, მან ტურები დახეწა და თვალები მოხუჯა.

— გესმის, მერი! არ ვიცოდი. აბა, საიდან უნდა მცოდნოდა? სკამზე იჯდა და ეგ იყო. წიხლს როგორ ცკრავდი იმ დადამიანს, რომელსაც სული უფლისათვის ჩაუბარებია და რომელიც უკვე ღვთის სამსჯავროზე გამოუბაზებიათ! შენ კარგად იცი, მერი, რომ არასჯიბით არ ჩავიდნენდი ამას, მაგრამ არ ვიცოდი, — მაიკმა ხელები გაასავსა და ისე გაიშვირა მეფულისაკენ, თითქოს პატიებას ითხოვსო.

— არაფერია, მაიკ, შენ ხომ არ გინდოდა ამის გაკეთება. საკმე ისაა, რომ არ იცოდი. რა შენი ბრალია?

— ის კათოლიკეც კი აღმოჩნდა, — მწარედ თქვა მაიკმა, — საცხედრეში ნახეს, კისრებზე მედალი ეკიდა. ამბობენ, შიმშილით მოკვდაო.

მერიმ თავისი დიდი ჭოროღიანი მკლავი კისრებზე მოხვია მაიკს და უხარმხარ მუტუბე ფაფუკი ხელი ჩასჭიდა. ქალს პატარა მოციხსტო თვალეში ცრემლი უბრწყინავდა.

— ღვთის განგებას ვინ გადავა, — ნახად წარმოთქვა მეგობარმა, — მის სიბრძნეს ჩვენ რას ჩავსწვდებით, მაგრამ თვითონვე უწყის და მიუტყვევს უნებლიეთ შემცოდებს.

პიონერები კოცონთან

ცაში ავარდნენ ცეცხლის ენები და ღამის ბინდი გაირღვა ნელა; კოცონის ირგვლივ პიონერები ჩაემკვირივდით ყველა.

ჩვენ ვგუჯუნებდით ხმამაღლა ვაშს — წითლად ბრწყინავდა ცის დასავალი და ბნელში მგავდა ელვარე დაშნას კოცონის ალი.

და გვიხაროდა ბედნიერ ბავშვებს რომ ჩვენზე ზრუნავს პარტია, ხალხი... ამიტომ იყო ჩვენი სიმღერა ასე მტკიარე და ასე ლაღი.

ამირან ჩაღშენილი,
ბაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის მოსწავლე.

ლაიხვათ და გვიხსნალოთ ხელოვნებასა და მეცნიერებასა



ჩვენს ქვეყანაში, სადაც შექმნილია ფორმით ნაციონალურ-ო და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავების განუზღვრელი შესაძლებლობანი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას. ჩვენი ხალხი ხშირად მიმართავს თავის წარსულს, რათა დაეკვირვებინა ათათვისის საუკუნეთის და მნიშვნელოვანი, რაც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა.

ქართულმა ხალხმა ცოცხალი ხანგრძლივი, გვირგვინის-სტორიის მანძილზე შექმნა მრავალი ერთნაირი კულტურა. განსაკუთრებით გამოიყოფა ჩვენი ხალხის ბრწყინვალე ნიჭი ხელოვნობების განხორციელებაში — ყველაზე მეტყველსა და მოწონებულ ხელოვნებაში.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე გაფართოებული ძველი გასაოცარია არა მარტო რაოდენობით, არამედ თავისი მრავალფეროვნებითაც. ქალაქად თუ სოფლად, ტყეში თუ ველად შემონახულია შესანიშნავი ძეგლები, რომლებშიც უძველესი ისტორიები გამოხატულა, თავისი დროის პროგრესულა და პატრიოტული მისწრაფებებს, თავისი ხალხის სიდიადესა და თავისი ქვეყნის ბუნების წარმატებულ სილამაქეს.

სხვადასხვა დროსა და ისტორიულ ვითარებაში აღმოცენებული უძველესი ქალაქები დღეს ერთგვარ მუზეუმებად გვესახება. ასეთებია მცხეთა — საქართველოს უძველესი დედაქალაქი და სახელმწიფოებრიობის აუკანა, სამშვილდე — უძველესი ქალაქი მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლით, დანისი — შუასაუკუნეობრივი დამაბასიათბელი ქალაქი, უჯარმა — რეზიდენცია ვახტანგ გორგასალისა, უძველესი ქალაქები — შორაპანი, სყანა, ნოქალაქები, რუსთავი, კლდეში გამოკვეთილი გარდა და უფლისციხე და სხვა მრავალი. შემონახულია ძველი მონასტრების დიდებული ხელოვნობითა და ანამბლები, რომლებსაც თავისი მხატვრული სრულმნიშვნელობით კომპოზიციის ორიგინალობითა და ბუნებასთან საოცარი შეერთებით დღესაც განიცდიან მრავალი მათგან მათგან. ასეთებია: ნიკრესი, გელათი, ზაშვი, გუდარბი, საფარა, ანანური და სხვ.

მრავალი ცალკეული ხელოვნობითა და ძეგლები, რომელთაც არ დაქარავეს თავისი მნიშვნელობა და დღესაც გვევლინებიან, როგორც ხელოვნობების სრულყოფილი ნიმუშები (ბოლნისი, უჯარი, წორო, სამწევრისი, კუმურდო, სამთავისი, სვეტიცხოველი, ფიტარეთი და სხვ.).

შემონახულია მრავალი ციხე-სიმაგრე, სასახლე, სატრაპეხი, აბანო, ხიდი ქარვასლა და სხვ. დადებულია ხიო-ხელოვნობების მრავალი ძეგლი — სოფლის საცხოვრებელი სახლები, სადა და სრულყოფილი ქმნილებანი ნიჭიერი ხალხისა.

ბუნებრივია, რომ აღნიშნული ხელოვნობითა და ძეგლები არაა გაშიშვლებული, არამედ შექმნილია მონუმენტური ფორმით, რელიეფური ქანდაკებით, ჩუქურთმითა და ოქრომკვლელობის ნიმუშებით.

ჩვენი პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს კულტურის ძეგლებისადმი. ისტორიული ძეგლების დაცვა ხდება არა სიძველეთა მოყვარულთათვის, არამედ მათ და დღეს აქვს დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური

რის მნიშვნელობა მთელი ქვეყნისათვის, ჩვენი მემკვიდრეობის, კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. უნდა გვასწავლოს ლენინის სიტყვები რომ „უაღრესად საჭიროა გინათვის ყველა ომისსიძებია, რომ არ დაეცეს ჩვენი კულტურის ძირითადი ბურჯები, ვინაიდან პროლეტარიატი ამას არ გვაპატიებს“.

ისტორიული ძეგლები წარმოადგენენ ჩვენი კულტურის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ წყაროს. მათი საშუალებით ვსწავლობთ ხელოვნებას, ვსაზღვრავთ წარსული ეპოქების დიდი მოვლას, მხატვრულ დიდებულებას, ხალხის ისტორიასა და ტექნიკას.

ხშირად ძეგლებზე შემონახულია მოკლე თუ გრძელი წარწერები, სადაც შეიძლება ამოვიკითხოთ ძველის აწერების თარიღი, მშენებელთა სახელები, ხანდახან კი ხალხის შინაგანი თუ პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები.

ჩვენი ძეგლები — ჩვენი ხალხის ისტორიაა, ქვეში გამოქვეყნებული, მისი განსაკუთრებით მკვეთრი და გასაგები ფორმები. ზარზმის ტაძარი ჩვენი არა მარტო ხელოვნობითა და მხატვრული ნაწარმოებით, არამედ ქართული იარაღის დიდი გამოყვების ძეგლიც, მის სამრეწველო კვლევის მოთავსებულ წარწერაში მოთარბობილია 979 წლის ბრძოლაზე, რომელიც ქართველებმა თორნიკე ერისთავისა და ჯოჯოხის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს განთქმული სარდალი ბარად სკლიაროსი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელოვნობების ძეგლებს ჩვენი არქიტექტურისა და მშენებლობისათვის. მათი შესწავლა ამოღებებს თანამედროვე მშენებლობის საუკეთესო მხატვრულ და სამშენებლო ტრადიციასა ცოდნით. ძველი ხელოვნობების ნაწარმოებებში საბჭოთა არქიტექტურისა და მხატვრული პოეზიების შემოქმედების დაუმრეტელ წყაროს ახალი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების შექმნისათვის.

მაგრამ, ბუნებრივია, რომ ჩვენი ძეგლები, ეს ძვირფასი განაძი ხალხის კულტურისა, დროისა და ბუნებრივი მოვლენების შედეგად თანდათანობით ზიანდება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული შენობების მოქალაქე და პირველ ყოვლისა ახალგაზრდობა ხელს უწყობს ძეგლების განადგურებას, აფუჭებს მათ წარწერებითა და ნახატებით.

დღეს ჩვენი საერთო ამოცანაა დავიცვათ თუნდაც დაზიანებული, მაგრამ ჯერ კიდევ მშვენიერი ძეგლები ისტორიული ხელოვნობებისათვის. საჭიროა ჩვენი ძეგლების ფართო პოპულარიზაცია ახალგაზრდობაში, რომელიც მოყოლებულია დღეს ჩვენს ქვეყნის თავის ისტორიასა და კულტურას.

ხალხულს უპირიოდნი სოფლად თუ აგარაკზე მყოფი ჩვენი ნორჩი თბავა ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს სახელმწიფოებრივ ორგანოებს ძეგლების დაცვაში.

დავიცვათ და შევისწავლოთ ხელოვნობების ძეგლები როგორც საზანძური და სახელმწიფოებრივი საკუთრება — ეს არის ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი მოქალაქის წინადა მოვალეობა.

ნიკაი სისიხვილი,
არქიტექტურის კანდიდატი.



როგორ გადაარჩინა რობინ ჰუდმა თავის რაჭმელი ვილ სტატლი



ინგლისური ხალხური ბალადა

მწვანე ხეების ფოთლებქვეშ,
დერი, დერი, დაუნ,
ტყეში ცხოვრობდა ჰუდი,
როცა მოვიდა ამბავი,
ერთი ამბავი ცუდი.
ჰეი, დაუნ, დერი, დერი, დაუნ.

უთხრეს: ვილ სტატლი შეიპყრეს,
სიკვდილი ელის, ჯვარცმა;
ის გასცა მუხანათურად
სამმა შერიფის კაცმა.

ხვალ უნდა სვეტზე დაჰკიდონ,
დღე უთენდება შავი,
თუმც ირი მოჰკლა სამთაგან,
ძვირად გაჰყიდა თავი.

როცა ეს ესმა რობინ ჰუდს,
დანადვლიანდა მეტად.
თავის კაცები შეჰკრიბა
და დააფიცა ერთად.

რომ ისევ ნახოს ვილ სტატლიმ,
თავის სამშობლო ტყვრი,
თუნდაც ბრძოლაში დაეტეს
თავგანწირული ბევრი.

წოილად ჩაიკვა, მწვანურად
სხვებიც შემოსა სოულად;
ვერსად ნახავდით ამ ქვეყნად
უფრო თვალწარმტაც სურათს.

მშვილდ-ისარი და კანატი,
მამაც მებრძოლა მწკრავი,
გამიშვლებული ხმლის პირი,
ზედ მოთამაშე ხბავი...

ტყვრი დაბოკვს გულადად,
სიკვდილს არ სთვლიან აწულად,
ან მოიყვანენ შინ სტატლის,
ან ამოწყდება ყველა!

როცა მოადგნენ იმ ცხებს,
სადაც ვილ სტატლი ნადვლობს,
რობინმა გასცა ბრძანება:
— აქვე ჩავსაფრდეთ ახლოს.



— ციხის კარებთან მწიწრი დგას,
რასმე ნახავდა, ალბათ,
ვინმე მივიდეს, და ჰკითხოს,
აბა რას გვეტყვის ამბად.

ერთი მამაცი კაბუკი
აღდა რობინის თქმაზე,
მიუხალვოდა მოხუც მწირს
და თან მიმართა ასე:

— გველოდინება, მოხუცო,
როლის მოყვდება სტატლი,
ამ ციხეში ზის ის მართლაც?
მიოხარ, მოისხი მადლი.

— ვაგლას მე!—მწირმა მიუგო. —
არც კი მეხსნება ბაგე,
სტატლის დღეს ჩამოახრჩობენ,
სახრჩობელა დგას აგერ.

ეს რომ რობინმა იცოდეს,
ხალსს მოგზავნიდა მხსნელად,
გამოაყვანდა ციხიდან,
გადაარჩინდა ხელად.

— სწორეა, — უთხრა კაბუკმა, —
თქმა გუყვარებია მართლის,
აქ ყოილიყო რობინი —
გამოიხსნიდა სტატლის.

მშვიდობით იყავ, მოხუცო,
და ნუ გავგვიცხვავ მკაცრად,
თუ ჩამოახრჩეს ვილ სტატლი,
მტრის სისხლს დავაქცევთ ნაცვლად.

სწრაფად წავიდა კაბუკი,
კარიც გაიღო ფართოდ,
გარშემო იდგნენ მცველები,
სტატლი — შუაში, მართოდ.

ვერსად იხილა დამხსნელი,
არსით მოინადა შევლა,
შერიფს გაუბა ბაასი
დარბაისლურად, ნელა:



— ვხედავ, რომ ვკვდები;
ერთსა გთხოვ,—
უარს არ მეტყვი; მგერა,—
შენც იცი, მუდის რაზემელი
არ ჩამომხრჩვალა ჯერაც.

მომეც ხმალი და ხმლით მომკალ,
თოკი შემხსენ მხოლოდ,
ერთად გამოდით ყველანი,
ასე მომიღეთ ბოლო.

მაგრამ შერიფი სასტიკი
და გულბოროტი არი:
ჩამოახრჩოვნე ვილ სტატლის,
ხმლით არ იქნება მკვდარი!

— მაშ ხელი მაინც შემხსენ,
თუ არ მენდობი ხმალში,
და თუ თქვენ სვეტზე დაქვიდით,
წყუთლიმც ვიყო მაშინ!

— დაე შენსავით ყანადი
სახარობელაზე მოკვდეს!
ასე მოკვდება რობინიც,
ხელში ჩავიგდებ იაღებს!

— უჯიშო, მხაღლო,—სტატლიმ თქვა,—
მონავ, სულმოკლე გლახავ-
როდესაც რობინს შეხვდები,
შენს აღსასრულსაც ნახავ.

შენც ეზიზღები რობინ მუდს,
შენი ლანარი ხროვაც,
ერთ ლუკმად არც კი ეყოფით,
როცა თქვენი დრო მოვა.

სახარობელასთან მივიდა,
სიკვდილს აღარა ნაღვლობს.
პატარა ჯონიც ბუჩქიდან
ვიღთან გავიდა ახლოს.

— მე გთხოვ, ვილ, ვიდრე მოკვდები,
არ შეიცვალო ფერიც,
მგეობრებს გამოგვეთხოვე —
არ ეწყინება შერიფს.

— ვიცან,—შერიფმა შესძახა,—
სწორედ საჩემო საქმე,
ეგვიც ყანადი ყოფილა,
ეგვიც შეჭარბით აქვე!

ჯონმა ვილს დასტრა თოკები—
იყო მარდი და მალი,
შერიფის ერთ კაცს ხელიდან
მან გამოსტაცა ხმალი.

— ვილ, ამა ხმალი, დაიბი,
თვითონ დაიცავ თავი,
ვიდრე რობინიც მოგვისწრებს,
დღე დაგვაყაროთ შავი.

ერთუროს ზურგები მიაყრდნეს —
მკლავი ადვილად სტრიდეს!
და რობინ მუდი რაწმითურით
ამ დროს მოვიდა კიდევ.

მუდის პირველი ისარი
უკვე მატრში მდერის.
— დახსებთი,—შეჰვირა შერიფმა,—
არ მოგერიოთ მტერი!

თანაც მოჰკურცხლა—შეხედა,
საქმე არ ღირდა ჯაჟადა,
მცველებმაც შერიფს მიხაძეს —
უფრო მოჰკურცხლეს სწრაჟადა.

— დაიცათ, რა გეჩქარებთ? —
სტატლიმ შესძახა ლაღაღა:—
ჯერ რობინ მუდი დაიბით,
მერე ვეღარსად ნახავთ!



— ვაგლახ, — რობინმაც დახსინა, —
რბენა გცოდნით მალი,
მეც შემძლია ქარქაშში
მშველად ჩავაგო ხმალი.

— აღარ მეგონა, —სტატლიმ თქვა, —
რაც ეს დილეგი ვნახე,
პატარა ჯონი მეხილა,
ან რობინ მუდის სახე.

ასე გადურჩა მტრის კლანჭებს,
გათვისუფლდა სტატლი,
რობინ მუდი უთხრა მადლობა,
უფალს შესწირა მადლი.

თქვა: — ერთხელ კიდევ გავთელე
ტყის ბალახები რბილი,
ვისმინე ისრის მხუფილი,
მისი სიმღერა ტკბილი.

თარგმნა ინგლისურიდან
ზვიზ ბაჩიჩილაძემ





წიგნი სულხან საბა ორბელიანზე

ქართული მოსწავლეები მცირე ასაკიდანვე, ხალხურ ზღაპრებთან ერთად სწავლობენ სულხან საბა ორბელიანის იგავარსებებს. ისინი ინტერესით ეცნობიან დიდი იგავთმწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ბავშვთა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას ზედმეტად შედეგობას ხელს „სახლიტკემის“ მიერ ახლანდელ გამოცემული წიგნი — „სულხან საბა ორბელიანი“, რომლის ავტორია ახალგაზრდა მკვლევარი ლევან მენაბდე.

დიდი მასშტაბის მწერალმა და სახელმწიფო მოღვაწემ სულხან საბა ორბელიანმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის მოანდომა. ის იყო ბრწყინვალე იგავთმწერალი, ლექსითარაუდი და რედაქტორი, მაღალი ზნეობის პედაგოგი და დიდი მეცნიერი, მოარსებებელი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელთანაც არ იყოს დაკავშირებული ჩვენი საზოგადოების სახელი. სწორედ ამის გამო, სულხან საბა ორბელიანის ბიოგრაფიის გადმოცემისას, ლევან მენაბდე ვრცელად ავიწყებს ჩვენი ისტორიის ამ მნიშვნელოვან მომენტებს. წიგნი კარგად



და ჯალწილი გარეშე მტერთაგან შევიწროებულ საქართველოს მიმე სურათი, ქართველ მოღვაწეთა თავანწირული საქმიანობა სამშობლოს ხსენისათვის, სულხან საბას საშინაო და საგარეო მოღვაწეობა, მისი მოგზაურობა ევროპაში, მუშე ვახტანგ მეექვსის ეკონომიური და კულტურული რეფორმები და დიდი მწერლის ყველი ამ საქმეში.

ცხოვრების გზის ჩვენების შემდეგ, ავტორი გვიხატავს საბას ფართო ლიტერატურულ-მეცნიერულ მუშაობის სრულ სურათს; ანალოზს უყუთებს მის შემოქმედებას: ბრწყინვალე იგავების კრებულს — „სიბრძნე სიტყვისა“, შესანიშნავ წიგნს — „მოგზაურობა ევროპაში“, ქართულ ლექსიკონს — „სიტყვის კონა“, აგრეთვე, მის მოთხისა და რედაქტორულ მუშაობას „ქილილა და დამანაზე“.

ჩვენი სასიკეთლო მწერლის ყოველი სიტყვა გამზინული იყო მშობლიური ახალგაზრდობის აღზრდისათვის, მისი ყოველი ნაბიჯი სამშობლოს კეთილდღეობას ისახედა მიზნად. სწორედ მას შეუძენს მისივე აღორისტული თქმა: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანია“. სულხან საბა ორბელიანი სიტყვიანი და საქმიანი ვინაგაროდ ემსახურებოდა სამშობლოს. იგი ოცნებობდა: „ჩემს უკან დღერქმან ქმნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნას“. სამშობლოსათვის ასეთი ზრუნვისა და სიყვარულის გამო სულხან საბა ორბელიანს „საქართველოს მამას“ უწოდებდნენ.

ლევან მენაბდის წიგნი — „სულხან საბა ორბელიანი“ დიდ სარგებლობას მოუტანს ნორჩ მკითხველს.

რამაზ ბარამიძე

წიგნი მალევი შინ და სკოლაში

ამ რამდენიმე წლის წინათ „სახლიტკემის“ გამოსცა ნ. ნოსოვის წიგნი „ჰვიტია მალევი შინ და სკოლაში“. ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკას შედგება კიდევ ერთი მაღალმხატვრული და მაღალეფერი ნაწარმოები საბჭოთა ბავშვების ცხოვრებაზე.

მოთხრობა „ჰვიტია მალევი შინ და სკოლაში“ გვიხატავს ჩვენი მოსწავლეების მრავალფეროვან, სიხარულითა და საზოგადოებით, წარმატებითა და ხანდახან დროებით წარუმატებლობით სავსე ცხოვრებას; იგი, როგორც ეს სათაურთანაც ჩანს, გვიჩვენებს მოსწავლეს არა მარტო სკოლაში, არამედ სკოლის გარეთაც — შინ: მშობლებთან, უფროსებთან, ამხანაგებთან ურთიერთობაში. მოთხრობა გვიხატავს მოსწავლეთა კოლექტივის და ჩვენს ნორჩ თაობას კომუნისტური სულისკვეთებით ზრდის.



„ჰვიტია მალევი შინ და სკოლაში“ მიმხიდული, საინტერესო წიგნია. იგი

დაწერილია დიდი ოსტატის კალმით. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ ნორჩ მკითხველებს მთელი რიგი თავებისა, მაგალითად, თავი, რომელშიც მოთხრობილია ვიტის მიერ არითმეტიკაში მიღებული ორანის გამოსასწორებლად ბრძოლისა და ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნის ამბავი.

მოთხრობა დაწერილია პირველ პირში, დღიურის სახით, რამაც საშუალება მისცა ავტორს გაეთხოვ იგი ჯანსაღი, ბავშვური ჰუმორითა და გულწრფელობით იგი აჩვენებს ბავშვს ქნაზულისა და განცდილის ხატვანად გადმოცემას.

ნ. ნოსოვის მოთხრობას — „ჰვიტია მალევი შინ და სკოლაში“ — ნორჩ მკითხველი დიდი ინტერესით წაიკითხავს.

ნოდარ ჩხიძე



პიონერის ბმირული საქმიევი

ვიტია სოროკინი სოფლის გზაზე მიდიოდა. მან პირველმა შენიშნა, რომ ზირიანეების სახლს ცეცხლი ეკიდებოდა.

— გაძეცით, უფროსებს შეატყობინეთ! — დაუყვარა ვიტამ იქვე თამაში ვართულ ბავშვებს, ხოლო თვითონ ცეცხლმოკიდებულ სახლისაკენ გაიქცა.

ოთხის შვიდით, ცეცხლში გახვეული პატარა ბავშვი ტირილით აწყვედებოდა ფანჯარას. იგი აშაოდ ცდილობდა პატარა ხელეობი სარკმლის გაღებას, ვიტა არ დაშინებულა. მან ქეთი ჩააბტერია მისგან და ფანჯარა გაუღო. პატარა ბიჭუნა გადაჩრჩინა მალე მოვიდნენ უფროსებიც. მანაც პიონერი ვიტა სოროკინი მათ ხანძრის ჩაქრობასა და საქონლის გადაჩრჩინაში მიეხმარა.

ხანძრის დროს უნარიანობის გამოჩენისა და პატარა ბავშვის გადარჩენისათვის, სვერდლოვსკის ოლქის სახანძრო დაცვის სამმართველომ მოთხებ კლასის მისწავლულ პიონერი ვიტა სოროკინი პრემიით დააჯილდოვა.

პურის საცხოვრი ამტომბატური ძარხანა

აი, პურის საცხოვრი ქარხნის ეზოში ზარბაზნა ვეკოლით დატვირთული ვაგონების გრძელი შემაღტელობა. რამდენადაც წუთის შემდეგ ვაგონების კარი იღება და ლენტის მსგავს ტრანსპორტიორებზე ტოვდება ამოქრავდება. დაბორანტები ამასობაზეც ვეკოლს წყურნ რეკეტებს, თუ რა რაოდენობით სჭირდებათ ვეკოლი. წყალი, შაქარი, მარილი და ვიტამინები სხვადასხვა სახის ნაშებებებს. ამასობაში კი ვეკოლი იყრება და მაგნიტურ დანადგარებში ეშვება. შემდეგ, დაბურული მქეპინების საშუალებით იგი სარდალიდან ზემო სართულზეში ხვდება. აქ მანქანები ცოხლ უღავენ, ნაწილებად კრიან და საჭირო ფორმას აძლევენ. საბოლოოდ ცოხი ღლეულია. ოცდაათი წუთი—და პური მზადია. ხოლო ერთი საათის შემდეგ იგი უკვე მალაზიაში ამოყოფს თავს.

ნ. ს. ბრუშოვიის სახელობის მოსკოვის, პურის საცხოვრი ქარხანას, ავტომატიზაციის მხრივ, მსოფლიოში მაღალი არაა ჰყავს. საცხარისა აღინიშნობს, რომ მოელს ქარხანაში წყლის, მარილის, შაქრისა და ვიტამინების გადაცემას მხოლოდ ერთი კაცი აწარმოებს. ამ უზარმაზარ ქარხანაში,

როგორც შემდეგ გამოიკვეყნეს, ათი საზამთრო იწონიდა 85 კილოგრამსა და 700 გრამს. პატარა ნაეაღლეს გზა გაეკვლია მისკენ და, ამრიგად, საზამთროს ზრდის საღკეთესო პირობები ჰქონდა შექმნილი.

პირველი პრემია

წელს ინდოეთში შესვლა საერთაშორისო კონკურსი ბავშვთა ნახატებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 44 ქვეყნის ბავშვებმა. მათ ამ კონკურსზე 15 ათასი ნამუშევარი გაუზავნეს.

პირველი პრემია წილად ხვდა მოსკოვის სახანატრო საშუალო სკოლის მისწავლეს ლარისა დაეატცის, რომლის მიერ შესრულებულმა ნატურმორტმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლარისას ბავშვობიდანვე იზიდავდა ხატვის მისმა ესკიზებმა თაფიდანვე მიიპყრო უფროსების ყურადღება და იგი მშობილორ ქალაქ უფიდან მოსკოვის სახანატრო სკოლაში გაუზავნეს. დიხჯა, შრომისმოყვარე საბჭოთა მისწავლე ლარისა დაეატცი სერიოზულად შეცადინეობს ხატვასა და ფერწერაში. ამავე დროს იგი კარგი ამზანავია. მას ყოველთვის რჩება დრო თანაკლავლების დასაბარებლად.

პრემია, რომელიც ლარისა დაეატცის ნატურმორტმა საერთაშორისო კონკურსზე მოიპოვა, ადღრთიყენებს მისი მშობლიური სკოლის მთელ კოლექტებს.



საზამთრო—გიგანტი

წელა ზარიშურობის ცეცხის ქვეშ მალალი, წელად მაღალს. ქალიშვილი გატყვებით თიხავს. ერთი მოქნევა—და ცეცხრიადვე მავარს მოხვევს. გაისმა ჰახუნეი. ქალიშვილმა ფრთხილად გადასწია ბალახი და მის ქვეშ დაინახა... გეგანტური საზამთრო.

როგორც შემდეგ გამოიკვეყნეს, ათი საზამთრო იწონიდა 85 კილოგრამსა და 700 გრამს. პატარა ნაეაღლეს გზა გაეკვლია მისკენ და, ამრიგად, საზამთროს ზრდის საღკეთესო პირობები ჰქონდა შექმნილი.

საილიობისას, 40 კაცისაგან შემდგარი მეტელთა ბრიგადა ძლევს მორთა გიგანტური საზამთროს ნახევარს.

ეს ამბავი მოხდა ყირგიზეთის საბჭოთა რესპუბლიკის, ოსკის ოლქის იანგინაუკატკის რაიონში.

ჟვამიღები კოლარულ წრეში

ფილოდენდრონის სამშობლო ტროიკული ამერიკაა. ეს კირვეული მცენარე ძალიან შვიათოდ ხარობს პალანკერეის პირობებს.

ადული წარმოსადგენია ის სიხარული და განვიფორება, რომელიც განიცადეს ქ. ვორკუტის ორანჟერიის მუშაკებმა, რომელსაც მოსკოვის ბოტანიკური ბაღიდან ჩამოტანილმა ფილოდენდრონმა არა მარტო იხარა, არამედ მიექცეს წელს აყავილიდა კოდეც. ეს ქალაქი ხომ პოლარულ წრეზე მდებარეობს, მარადიული ყინვის მხარეში! ვორკუტის საქალაქო ორანჟერეა 1945 წლიდან არსებობს. ქალაქის გასაშვწენებლად აქ წელიწადში 50 ათასი სხვადასხვა სახის ყვავილი ხარობს. პოლარული წრის მცხოვრებლები სწირად მიდიან აქ ცოცხალი ყვავილებისათვის.

ცოცხალი ნათურა

ზღვის მრავალ ბაწაწინა ორგანიზმს, ზოგერთ მელუსას, ლიფიტებს და თევზებს განათების უნარი აქვთ. ამ ორგანიზმების სინათლის შენიშვნა ადვილად შეიძლება მაშინ, როდესაც ისინი მისიოდება არიან თავმოყრილინი. ამ დროს მათი შუქი ისეთი შესამჩნევია, რომ გემიდან სხვა გემებისა და კლავების დანახვაც კი ხერხდება. მათგან ზღვისკვანათება ზოგჯერ იმდენად ძლიერია, გეგონებათ, ღრუბლიან ცას შორეული ქალაქის ჩირაღდნების შუქი მისდგვინაო.


თუ ამ მოციმციმე ბაქტერიებს მოგათავებთ მინის კოლბაში მათთვის საჭირო საკვებთან ერთად, მაშინ მივიღებთ ისეთ «ცოცხალ ნათურას», რომლის შუქზე არა მარტო კითხვა გახდება შესაძლებელი, არამედ სურათების გადაღებაც კი მიხერხდება.

ქ ა დ რ ა კ ი

შეხვედრი კომბინაცია

შეხვედრი კომბინაცია წარმოიშობა მძაფრი იერიშის დროს, როცა დამცველ მხარეს კონტრთამაში კომბინაციური ტაქტიკით მიჰყავს. ამ ვითარებაში თვდამსხმელის კომბინაციის სახასუბოდ დამცველი პასუხობს კონტრკომბინაციით, რომელიც ანტიტრატებს პირველის შეტევის ძალას.

შეხვედრი კომბინაციის მოტივები ურთულესნი არიან ქადრაკის თამაშის სხვა საკომბინაციო მოტივებს შორის. პრაქტიკულ თამაშში შეხვედრი კომბინაციის, ისე როგორც სხვა კომბინაციების, მონახვა და მისი განხორციელება მეტყველებს მოჭადრაკის ოსტატობაზე. ამიტომ სასურველია, რომ მოჭადრაკე, როგორც გროსმაისტერი სმისლოვი ამბობს ყოველ პოზიციაში დაულალავად ეძებდეს მის კომბინაციურ გადარწვევტილებას. მაგალითისათვის განვიხილოთ ოსტატ ვ. მიქენასის ერთ-ერთი პარტიის დაბოლოება, რომელშიც ადგილი აქვს შეხვედრ კომბინაციას.



მიქენასი თანახმა ყაიშე და თამაშობს 24. კ15, მაგრამ შავები ცდილობენ მოეცაზუნ თამაშონ 24... ექ21 (ყაიშისათვის საკმარისი იყო ეტლებს ვაცვლა) 25. კ17+! (იძულებითი სვლა. მუჭარაა 25... კექ2+) 25... მფხ8 (თუ 25... მფხ7, მაშინ 26. ლხ5+მფხ8 27. ლ17+მფხ7 28. ექ22 ექ27 29. ლხ7 და ა. შ. თუ 25... მფხ8, მაშინ 26. ექ17+მფხ7 27. ექ1+შამაიო) 26. ექ21! (ლამაში უკანდახვევა, რომელიც იცავს ლაზიერის. 26... ექ27 27. ექმ8+ და მუჭერება ლხ5+) 29... ექ 27. ექ17! (თურები სარგებლობენ იმით, რომ არ შეიძლება 27... ექ27 28. ექმ8+ გამო) 27... კექ2+! (შეხვედრი კომბინაცია. ახლა არ შეიძლება 28 მფქ1 ლხ5+ გამო) 28. ლექ2 ექმ1+ 29. ექმექმ1+ 30. ექ1 ექმ1+ 31. ლქ1 ლქ2! (შავები დარჩნენ უსაკოლო, მაგრამ ყაიშის დიდი შანსები აქვთ. მოვარია ლაზიერების ექმ1 ლქმ1 ლაზიერი იყოს აქტიური) 32. აქ მფქ17 33. ლქ მფქ 34. მფქ1 აქ 35. ლქ1+ 36. მფქ2 ლქ2+ და მოწინააღმდეგენი ყაიშე შეთანხმდნენ.

თ. ბირობაძე



პ ი თ ნ ე რ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაზი კლასონია — ბანაკი ტყის პირას (ლექსი)	38-1
ივანე ურჯუშელაშვილი — სუფოროველები (მოთხრობა, გაგრძელება)	2
გიორგი კაცხაძე — იხარდოს ხორბლის ბარაკა (ლექსი)	9
აკაკი ბელიაშვილი — საიდუმლო გამოქვაბული (მოთხრობა, გაგრძელება)	10
შ. აღაიშვილი — როგორ შეიძლება გავხდეთ სრულიად საყვეწირო სასოფლო-სამეურნეო გამოყენის მონაწილეობის კანდიდატები (წერილი)	15
დავით ქაიხაძე — მოსკოვში, გამოფენაზე (ნარკვევი)	17
ა. პ. ჩხობი — მოხელის სიკვდილი (ნოველა, თარგმანა ღმნა შენგელაძის)	20
ს. იორაშვილი — ტულენი ოსტატი (მოთხრობა)	22
მაიკ ჭინი — წმიდათა წმიდა (მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმანა მოსე ქარაჩავსი)	25
მოსწავლეთა შემოკმედება (ლექსები)	26
იოაკიმ ციციშვილი — დავიკვათ და შევისწავლოთ ზურთომოდლებების ძეგლები (წერილი)	27
როგორ გადაარჩინა რობინ ჭუნდა თავის რახმელი ვილ სტატლი (ინგლისური ხალხური ბალადა, თარგმანა გ. გაჩეჩილავსი)	28
რევაზ ბარამიძე — წიგნი სულხან საბა ორბელიანზე (წერილი)	30
ნოდარ ჩხეიძე — „ვიტაა მალაქვი შინ და სკოლაში“ (წერილი)	30
მოკლემდე ყველაფერზე	31
თენგიზ გიორგაძე — შეხვედრი კომბინაცია (წერილი)	32
გვასარ თოთბა	გ. გარეკანის მე-3 გვ.
გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ვეფხვაძეს. გარეკანის მეოთხე გვერდზე — „ნორჩი მიღვლსტები“ — ფოტოტიტული შ. ჩხეიძისა.	
უფრონა დაფურათებული მხატვრების: კ. მახარაძის, ალ. ბანძელაძის, გ. ფოცხიშვილის, დ. ერისთავის, ზ. ლეჟავას და გ. თოთბაძის მიერ.	


რედაქტორი რევაზ მარგაიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანაძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. კვიციანი, მ. ლებანიძე (პ/მც. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელაშვილი, გ. შატერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს აკ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Июль, № 7, 1954. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 საბურთაღო. ტელ. 3—81—85.

შე 04565 ტირაჟი 15.000 ცალკე. შეჯ. № 230. სტამბის შეჯ. № 861. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტ“.


არითმეტიკული თანვსატხისი



მოცემულია ერთიმეორეში გადახლართული 7 წრე. თითოეულ წრეში 12 თეთრი არეა. ჩაწერეთ ყველა თეთრ არეში რიცხვები 1-დან 42-მდე ისე, რომ თითოეულ წრეში მოკცეულ თორმეტი რიცხვის ჯამი უდრიდეს — 250-ს.

შეადგინა ბ. მარჯონიძემ

გეომეტრიული კოსმოსრდი



პარალელის მიმართულებით:

1. კურორტი ბორჯომის ხეობაში, 3. სახელმწიფო ჩვენს ერამდე, 7. ქალაქი ინგლისში, 8. ნახევარკუნძული ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, 12. მთათა სისტემა აზიაში, 15. მთები აზიაში, 17. სახელმწიფო ევროპაში, 21. კონტინენტი (მა-

ტერკი, ქვეყნის ნაწილი), 22. მდინარე აღმოსავლეთ ციმბირში, 23. ზეგანი ინდოსტანის ნახევარკუნძულზე.

მერიდიანის მიმართულებით:

1. მწვერვალი კავკასიონზე, 2. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, 4. მდინარე დასავლეთ ევროპაში, 5. მხარე დასავლეთ ციმბირში, 6. მდინარე დასავლეთ ციმბირში, 9. ქალაქი სამხრეთ ამერიკაში (პერუს სახელმწიფოში), 10. ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე, 11. სოფელი მთაში, 12. მახვილწვერიანი მწვერვალი, 13. ქალაქი საუდიეს არაბეთში, 14. მნიშვნელოვანი საქვანახშირო აუზი გერმანიაში, 15. ორი ზღვის შემაერთებელი ვიწრო ზოლი, 16. სახელმწიფო აზიაში, 18. მდინარე საფრანგეთში, 19. ზღვა ატლანტიის აუზში, 20. ტბა ამერიკაში.

შეადგინა ა. ნინიძემ

პასუხი ჟურნ. „კომუნის“ № 6-ში მოთავსებულ კოსმოსრდზე

ჰორიზონტალურად

1. კისისხევი, 5. გობი, 7. რონდო, 8. ვისი, 10. გმირი, 11. სურმა, 12. აგატი, 15. ალუვი, 19. ელადა, 21. სინკაპური, 22. ძუისა, 25. ანოდი, 27. ჰიში, 30. ომარი, 31. რადიო, 34. ასფალტი, 35. ტარტუ, 37. ფსოუ, 38. ანძა, 39. ურო, 40. უფა, 41. ფისი, 43. ტუფი, 44. სეფი, 46. ამირანი, 48. ატაშე, 50. კრონი, 51. იუნგა, 52. ირანი, 55. ურანი, 57. ასისტენტი, 59. სიღვა, 60. რომეო, 63. ქიშია, 66. შერია, 67. ფითრი, 68. ალტი, 69. ოზონი, 70. ოშკი, 71. ოლიმპიდა.

მერტიკალურად

1. კენია, 2. სირია, 3. ეპოსი, 4. ინდრა, 5. გამა, 6. იგაეი, 8. ვაშლი, 9. იავა, 13. გუგა, 14. ტიპი, 16. ლისტი, 17. პიტნა, 18. ბრომი, 20. დანია, 22. ტერენსკი, 23. ფილოქსერა, 24. ერენბურგი, 26. იმუნიტეტი, 28. ისერიმი, 29. ჩაი, 30. ოტოფონი, 32. დავლი, 33. ოფოფი, 35. „ტანია“, 36. რბენა, 42. ერა, 45. ფუნჯი, 46. ანისი, 47. იურტა, 49. ტარლე, 53. ოსპი, 54. სელი, 56. ტვიში, 58. ნორიო, 59. სენა, 61. ორბი, 62. კრედო, 63. ქაოსი, 64. აფიშა, 65. ეთიკა.

